№ 194 ოთხშაბათი, 2 სექტემბერი 1909 წ. № 194

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებების მიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

**დროება**

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

ახლად გახსნილი
ტფილისის
**კერძო საკურნალო**
კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. ზ. **ფელდმანი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
გ. დ. **ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.
ბ. ა. **პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
გ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—146)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა **იორდანე მ. გოცაძე**
დაბა ყვირილაში
მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნახავს ავადმყოფებთან. (25—417—9)

**ექიმი** ქ. ქუთაისში. **მ. დ. ბეთანოვი**
აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—კვ.—8)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ოლგას ქუჩა, N 24. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაილის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი**
ქუთაისში
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—51)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი კაკიტელაშვილი**
ქუთაისში
9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხიდის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—55)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი**
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მღვ. ქიქოძის სახლი, (0—უ.—2)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები, ასლანოვის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—239)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. კვირა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 149,

**ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი**
ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—3)

ქართველ ქალთა
**ამხანაგობის სახელოსნო სკოლაში**
**სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს.**
სკოლის მმართველობა უმორჩილესად სთხოვს მოსწავლეთა მშობლებს, ამაზე ადრე ნუ მოიყვანენ ქალებს, მით უმეტეს, რომ ვაკანსია არ არის და ბავშვები ტყუილად შესწუხდებიან სიარულით. (3—3)

**ქ. ქუთაისში.**
**თ. მთავრიშვილის წიგნის**
**მაღაზიაში**
დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი **„გუთანი"**, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.
სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—6—19)

**◀ ქუთაისში ▶**
**ქალთა სკოლა პროფესიონალურ განყოფილებით ნ. ლ. მიქელაძისა**
**გადავიდა**
თ-დ ნიჟარაძის სახლში თფილისის ქ., ოლდენბურგის ქ. პირდაპირ. მოსწავლეების მიღება დაიწყება 20 აგვისტოს, სწავლა 1 ენკენისთვეს.
სკოლაში ასწავლიან: ქართულ-რუსულ წერა-კითხვას, ხელოვნურ ხელსაქმეს და ჭრა-კერვას. ვისაც სურს, გარეშე ამისა ცალკე შეისწავლოს ხელოვნური ხელსაქმე და ჭრა-კერვა, იმათთვის მეცადინეობა იქნება სასწავლებელში ნაშუადღევს 4—6 ს. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება თვით სასწავლებელში. (8—კვ.—7)

**იყიდება ყველგან ახალი**
**◀ ჩანგი ▶**
წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და სახუმრო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან"**, **„ტაიჩი სოვეტნიკის სიზმარი"** და **„უბედური დღე"**. **წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან.**
ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება, ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც.
წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.
ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе, (30—6.—5)

**!! საზოგადოების საყურადღებოდ !!**
**გაიხსნა** განყოფილება „კორბოზის" ყოფილ ოსტატის გასტრონომიულ და საკალბასო მაღაზიისა. სანოვაგე ახალ-ახალი, საკუთარ საკალბასო ქარხნიდან.
**ფასები ზომიერია.** მიღებულია **უიტომირის საუკეთესო ვიჩინა.** მცირედ დამარილებული.
თავ. ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, მიხეილის ქ. № 6., ს. მამიკონოვისა. (5—ხალ.—1)

14 სექტემბერს გამოვა
**კვირეული გაზეთი**
**„ერი"**
ხელის მოწერა მიიღება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ბ. ავალიშვილთან.
გაზეთი წლის ბოლომდე ეღირება 2 მან., თითო ნომერი 10 კაპ.
რედაქციის ადრესი: არაგვის ქ., № 5.
რედაქტორ-გამომცემელი **პ. სურგულაძე.** (4—2)

**დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე**
**„სანდო"**
**გიორგი მიხეილის ძის ჩიქაძისა**
**ქუთაისში, ბალახვანის ქუჩა.**
სანერგის პატრონი დაჯილდოვებულია საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების ვერცხლის მედლით. (10—6.—7)

**ტფილისის სახაზინო**
**პალატა**
ამით უცხადებს სახელმწიფო სახაზინო მიწების ხარჯისა და საადგილ-მამულო გარდასახადის მოხარკეებს, რომ გაწერვა დასახელებულ გარდასახადთა 1909—1909 წ. წ. ტფილისის გუბერნიის მაზრებში და ზაქათალის ოლქში საადგილ-მამულო ხარჯთა გამწერ საკრებულოთა მიერ დასრულდა და ამ გარდასახადთა მოვალეებ გაეგზავნათ უწყებანი შესახებ მათ ხვედრ წლიურ გადასახადისა. საკრებულოთა მიერ განსაზღვრულ ხარჯის რაოდენობის წინააღმდეგ მოხარკეთ, თანახმად ფინანსთა მინისტრის ინსტრუქციის მე-47 სტატიისა, შეუძლიათ შეიტანონ უკმაყოფილების განცხადება გადასახადთა გამწერ სათანადო საკრებულოში ამა წლის ოქტომბრის 1-მდე.
სოფლის საზოგადოებებს და სოფლელებს ამასთანავე განცხადებით შეუძლიანთ მიმართონ გარდასახადთა გამწერ საკრებულოებს ამორჩეულ პირების შუამავლობით, რომელთაც მინდობილი აქვთ ამ საქმეზე ზრუნვა სოფლის საზოგადოების ან სოფელთა ყრილობით. (1—6—1)

**ქართული საზაფხულო**
**◀ თეატრი და ბაღი ▶**
ხუთშაბათს, 3 აგვისტოს, გაიმართება დიდი სეირნობა და წარმოდგენა. ქართულ დრამატიულ დასის არტისტები წარმოადგენენ ორ ოპერეტას
I
**„რაინდი უშიშარი და გულმართალი".**
II
**„მეჯლისი იტალიელებით".**
ბაღში **სინემატოგრაფი** სეირნობის დროს. დაუკრავს მანდოლინისტთა „კვარტეტი". ადგილების ფასი 50 კ.—3 მანეთამდის. ბაღში შესვლა 20 კაპ. ვინც წარმოდგენის ბილეთს აიღებს, ბაღში უფასოდ შევა. სეირნობა დაიწყება 5 საათზე. წარმოდგენა 4 საათზე. (2—1)

## დეპეშები

(პეტ. რუს. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 სექტემბერი

### სპარსეთი

**თეირანი.** მთავრობის კომისია გადააკეთეს მინისტრთა საბჭოს მრჩეველ კომისიად.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** ჯედდიდიდან იტყობინებიან: იემენში, სანაას ახლო, არაბებმა სასტიკად დაამარცხეს ოსმალებიო.

ადანის სამხედრო სასამართლოს დადგენილებათა გადასასინჯად განსაკუთრებული კომისია დაინიშნა.

### საზღვარ-გარეთ.

**ბერლინი.** ვოლფის სააგენტოს ლეიპციგიდანატყობინებენ: გუშინ, 31 აგვისტოს, დაიწყო სოციალ-დემოკრატების კრებები. კრებაში მონაწილეობას იღებს 400 კაცი. ავადმყოფობისა გამო კრებას არ დაესწრება ბებელი, აგრეთვე არ ჩამოვიდა ედუარდ ბერნშტეინი. კრება გახსნა ზინგერმა.

**გემელმასი.** პრინც ჰენრიხის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია, რომელიც მოაწყობს ჩრდილოეთ პოლიუსის ექსპედიციას. ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ ჰაეროპლანით გაფრინდა. ექსპედიციას მფარველობას უწევს იმპერატორი ვილჰელმ მეორე.

**ვენეცია.** დღეს, 1 აგვისტოს, 3 ჰაერში მფრინავი ჰაეროპლანი ადრიატიულ ზღვისკენ გაფრინდა. აზრად აქვთ გადაფრინდნენ ადრიატიულ ზღვაზე.

**ვენა.** კვირას, 3 აგვისტოს, გერმანელებმა დიდი დემონსტრაცია გამართეს. დემონსტრაცია ჩეხელების წინააღმდეგ იყო მიმართული. ჩეხელებმა სასტუმრო „ატცგერსდორფში" კრება გამართეს. აქვე მოვიდა სამი ათასი გერმანელი. გერმანელებმა ჩეხელების გაძევება მოითხოვეს, რაზედაც უარი მიიღეს. ამის შემდეგ გერმანელებმა იერიში მიიტანეს სასტუმროზე. ჟანდარმები და პოლიციელები დემონსტრანტებს შტიკებით დაუხვდნენ. რაკი აქ ვერას გახდნენ, დემონსტრანტები ვენაში დაბრუნდნენ და სულ ერთიანად აიკლეს ჩეხელის სასტუმრო. სასტუმროს აკლების დროს დაიჭრა 6 კაცი.

**ლაპალისი.** ჰაეროპლანი „რესპუბლიკა" ორჯელ გაფრინდა. პირველად იფრინა 30, მეორედ 45 წუთი.

**მაინის-ფრანკფურტი.** ჰაეროპლანი „ცეპელინ მესამე" ჰამბურგისკენ გაფრინდა. ჰაეროპლანმა სამი საათი იფრინა. ჰაეროპლანში ისხდნენ 21 კაცი, მათ შორის, დიდი გერცოგი მეკლენბურგ-შვერინისა.

### გაფიცვა შვეციაში.

**სტოკჰოლმი.** მთავრობამ გადასწყვიტა იკისროს შუამავლობა და მოარიგოს მუშები და მექარხნეები. შუამავლად დაინიშნა სედერგოლმი. სედერგოლმს სამი თანაშემწე ეყოლება.

### რუსეთი

**ეკატერინოსლავი.** ღამე რამდენიმე ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცა კამინსკის სახლს. ამ დროს ბახმუტსკი სახლში არ იყო. სადგურ ლოსკუტოვკაზე წასულიყო. ბოროტ-განმზრახველები სადგურისაკენ გაეშურნენ. გზაში მოეწივნენ კამინსკის, მოჰკლეს ისა, და დასჭრეს მისი ცოლი, გაიტაცეს ფული და მიიმალნენ.

**უფა.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად კოსოროტოვის მაგიერ არჩეულ იქმნა მემამულე კონსტანტინე პეტრეს ძე ხარიტონოვი.

**ალექსანდროვსკი** (ეკატერინოსლავის გუბერნია). დაციუკის სახელოსნოში აფეთქდნენ დამზადებული შუშხუნები. მოკვდა ერთი, სასიკვდილოდ დაიჭრა ორი, მძიმედ ერთი კაცი.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 49, გარდაიცვალა 13, ავად არის 310 კაცი.

**კერჩი.** ავად არავინ გამხდარა.

**კიევი.** კიევში ავად გახდა 2, გუბერნიაში არავინ.

**მოსკოვი.** ავად გახდა 2 კაცი, გარდაიცვალა ორენბურგელი ვაჭარი, რომელიც პეტერბურგიდან ჩამოვიდა.

**ნიჟნინოვგოროდი.** სენის დაწყებიდან აქამომდე მთელ გუბერნიაში ავად ახდა 46, გარდაიცვალა 25, ავად არის 16 კაცი.

**სიმფეროპოლი.** ბერდიანსკის მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3 კაცი.

**იაროსლავი.** უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში ავად გახდა 24, გარდაიცვალა 11 კაცი; გუბერნიაში ავად გახდა 19, გარდაიცვალა 9 კაცი.

**რეველი.** გუნგერბურგში ავად გახდა 3, კრენგოლმში 1, ვეზენბერგის მაზრაში 7, ამავე მაზრაში გარდაიცვალა 2 კაცი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მეტად საინტერესო პოლემიკაა გაჩაღებული სოც.-დემოკრატებსა და „ივერიის" შორის. ამ ერთი კვირის წინად „ივერია"-მ, არ ვიცით მოუფიქრებლათ თუ უვიცობით, წამოისროლა, რუსის ხალხი ქართველ ხალხის მტერია და ამიტომ ქართველებმაც ბრძოლა უნდა გააჩაღონ რუსების წინააღმდეგაო. „ჩანგმა" სამართლიანად დაჰგმო ასეთი შეხედულება და სთქვა, რუსის ხალხი რა შუაშია, როდესაც ქართველებს რუსის მთავრობა ავიწროებსო. „ივერია"-ს არ მოსწონებია ეს შენიშვნა, „ჩანგს" აზრების გადამახინჯებას სწამებს და სცდილობს თავისი აზრები განმარტოს:

„რუსობას" რუსეთი თავის ეროვნულ საკუთრებად აქვს მიჩნეული,—სწერს «ივერია». «რუსობას» რუსები რუსეთში პირველ ხარისხოვან მოქალაქეებად აქვს წარმოდგენილი, სხვები კი მეორე ხარისხისანი არიან, მეორე ხარისხისანი იმით, რომ მათ ზოგიერთი ისეთი უფლება არა აქვთ, რომელიც რუსობას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინიჭებული. ეს უფლებაა ეროვნულ უპირატესობის უფლება, სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველასთვის. სახელმწიფო—რუსული, სასწავლებელი რუსული, ხაზინა რუსული, რომელიც უნდა მოხმარდეს იმას, რასაც სახელმწიფო სათათბიროს უმეტესობა და ცენტრალისტობის ბუდესში გახვეული, ეროვნულ ინტერესებზე ხელაღებული სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები მოისურვებენ.

ეს გაყოფა ყველა მოქალაქისა ორ ხარისხად მვალსა და რბილში გამჯდარი აქვს არა მარტო „რუსობას" და მონარქისტებს, პურიშკევიჩსა და კრუშევანს, ეს გაყოფა სარჩულად ედება თვით ხრულიად რუსეთის ს.-დემოკრატიულ პარტიის პროგრამმას და მოქმედებასაც... რუს ს.-დემოკრატებს ქართველებისთვის არ ემეტებათ ის რაც თვითონ აქვთ, რასაც თავისთვის ითხოვენ, რუსი სოციალ-დემოკრატები მედგრად იცავენ თავიანთ ეროვნულ ინტერესებს და ისე აწყობენ საქმეს, რომ ეს ინტერესები თვით დემოკრატიულ რესპუბლიკაშიაც ვერავინ ვერ დაარღვიოს, ამიტომ რუსი ს.-დემოკრატები რუს კრუშევან-პურიშკევიჩებთან ერთად ებრძვიან საქართველოს ავტონომიას, ებრძვიან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას,—ეს ავტონომია, ეს ავტოკეფალია იმიტომა სძულთ და ეჯავრებათ, რომ ამ გზით ქართველი ერი დააღწევს თავს ეროვნულ შევიწროვებას და კულტურულ განვითარების გზაზე დადგომასაც მოახერხებს".

ბევრი ეცადა „ივერია", მაგრამ მაინც ვერ დაგვიმტკიცა, რა შუაშია რუსის ხალხი იქ, სადაც რუსის მთავრობა ქართველებსა სჩაგრავს. საზოგადოდ ამ საკითხში ბევრი წინააღმდეგობაში ვარდება ხოლმე იმიტომ, რომ განსაზღვრული არა აქვს „რუსობა", როგორც ეროვნება და „რუსეთი", როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზმი. ასეთს წინააღმდეგობაში ვარდება „ივერია"-ც. როდესაც „ივერია" რუსულ ხაზინაზე, რუსულ სკოლაზე და სხვა ამგვარზე ლაპარაკობს, უეჭველია, მხედველობაში აქვს რუსეთის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი. ყოველ-გვარ სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი დიდ სახელმწიფოს თანდაყოლილ თვისებას შეადგენს პროგრესიულ ზრდის ტენდენცია. თანამედროვე სახელმწიფო ყოველთვის სცდილობს გააფართოვოს თავისი საზღვრები, შიგნითაც სხვა და სხვა ეროვნებათა სრული „ნიკელიროვკა" მოახდინოს. რაც უნდა დემოკრატიული სახელმწიფო დაარსდეს, იგი მაინც ვერ უღალატებს თავის არსებითს თვისებას: მისი მოქმედება მაინც იქითკენ იქნება მიმართული, რომ თავისი მთლიანობა და გაერთფეროვნება უზრუნველ-ჰყოფს. ასის წლის წინად კიდევ შეიძლებოდა ეჭვი დაჰბადებოდა, ვისმეს, მაგრამ ეხლა, როდესაც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნოების დიდს სახელმწიფოების ცხოვრებას ვადევნებთ თვალ-ყურს, ასეთი ეჭვები უნიადაგოთ უნდა ჩაითვალოს. ამიტომაც მოხდა, რომ პატარა ერთა პსიხოლოგიაც ძირიანფესვიანად შეირყა. პატარა ერები ეხლა კონსტიტუციაში აღნიშნულ ერთა თანასწორ უფლებათა პრინციპებით აღარა კმაყოფილდებიან; პატარა ერები ეხლა თხოულობენ უფრო მტკიცე გარანტიას თავიანთ ეროვნულ ცხოვრების განვითარებისთვის. ამისთანა გარანტიად კი მათ საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღდგენა მიაჩნიათ. ირლანდია, ინდოეთი, არაბეთი, პოლონეთი, ჩეხია და სხვა ერები სწორედ ამნაირად აყენებენ საკითხს, ასევე უნდა იქმნას დაყენებული წვრილ ერთა საკითხი რუსეთშიაც. მაგრამ ყველა ეს, რასაკვირველია, რუსის ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებას არა ნიშნავს, როგორც ეს „ივერიას" ჰგონია. რუსის სოციალ-დემოკრატები შეიძლება ცენტრალისტები იყვნენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც რუსის ხალხი არაფერს შუაშია. ეს მხოლოდ რუსის ს.-დემოკრატების უვიცობის მომასწავებელია. თუ რუსის ხალხი წვრილ ერთა განთავისუფლების წინააღმდეგი იქნება, ესეც მხოლოდ მისი უვიცობის მომასწავებელი იქნება და აქ პროპაგანდაა საჭირო.

სულ სხვაა რუსეთი, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზმი. იგი შეგნებულად და აუცილებლად იქითკენ მიისწრაფვის, რომ წვრილი ერები ჩაყლაპოს. ეს პროცესი ჩაყლაპვისა არ მოისპობა იმ დრომდე, სანამ წვრილი ერები საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას არ შექმნიან. აი, რანაირად უნდა იქმნას დასმული საკითხი, თუ გვინდა რაიმე თვალსაჩინო მიზანს მივაღწიოთ.

„ჩანგმა" „ივერია", სხვათა შორის, იმაშიაც დაიჭირა, რომ რუსულ გაზეთში გარეულ პოლიტიკას აწარმოებთ და ქართულში კი—შინაურსაო; რუსულ გაზეთში „პოლიციელებს" ხელებს ულოკავთ და ქართულში კი—რუსების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომს აცხადებთო. „ივერია"-ს ამისიც შეჰშინებია და სცდილობს დაგვარწმუნოს, მე რევოლიუციონერი არა ვარ, აი, მიყურეთ, ეხლა ქართულ გაზეთშიაც ვაცხადებ, რომ ყოველგვარი რეფორმა მშვიდობიანის საშუალებით უნდა ხდებოდესო.

ზევით „ივერია" ამბობდა, რუსები ჩვენი მტრები იმიტომ არიან, რომ იმათ თავიანთი სახელმწიფო აქვთ, საკუთარი სკოლა, სასამართლო და ხაზინაო. ცხადია, „ივერია" წინააღმდეგი არ იქნება, თუ ყველა ეს სიკეთე საქართველოსაც ექნება. საინტერესოა ვიცოდეთ, რა ჯადოსნურ ძალებით მოახერხებს „ივერია" ამ სიკეთეთა მოპოვებას? იქნება „ივერია" მართლა გულ-უბრყვილოთა სწერს, რომ „მგლის თავზე სახარების კითხვით" ფონს გავა?!

დიდს იმედებს ამყარებთ თქვენს მომავალზე, მაგრამ ძალიან საეჭვოა, მან შეგძინოთ: უპრინციპობასა და აზრთა არევ-დარევას დიდი მომავალი არა აქვს.

## ცოტა რამ გერნგროს-ჟუჩენკოზე

აზეფისა და გარტინგის შემდეგ მთელის რუსეთის და ევროპის ყურადღება მიიპყრო გერნგროს-ჟუჩენკოს ამბავმა. საინტერესოც არის: შეძლებულ ოჯახის შვილი, განათლებული, ლამაზი, ახალგაზდა ქალი საიდუმლო პოლიციის აგენტად ხდება ახალგაზდობაში და 15 წლის განმავლობაში შესანიშნავად ასრულებს თავის ამხანაგთა და მეგობართა გამცემის როლს.

ამ ქალბატონს მეც, ამ სტრიქონების დამწერი, კარგად ვიცნობდი და რადგან ჟუჩენკოს ავტობიოგრაფიაში ზოგი რამ საეჭვოდ მიმაჩნია, მსურს ჩემი მოგონებაც გავუზიარო მკითხველთ.

1897 წელს ქუთაისში სცხოვრობდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ერთი ნასტუდენტარი ს.-დემოკრატი ნ. პ. კ—კო, რომელიც ტფილისის რუსულ გაზეთ „ნოვ. ობოზრ."-ში ჰგზავნიდა იქიდან კორესპონდენციებსა და წერილებს. მას მთელი ქუთაისის ინტელიგენცია კარგად იცნობდა და, რადგან ტფილისშიაც ხშირად ჩამოდიოდა, აქაც ბევრი ნაცნობი ჰყავდა. მათ შორის მეც კარგი და ახლობელი ნაცნობი ვიყავ მისი. ერთხელ, ტფილისში ჩამოსვლის დროს, ნ. პ. კ—კომ მიამბო შემდეგი: ქუთაისში ამხანაგი მომემატა, ჩემსავით ადმინისტრატიულად გამოგზავნილიო. მოსკოვიდან ჩამოვიდა ახალგაზდა ქალი

ზინაიდა გერნგროსი მოსკოველ ამხანაგთა რეკომენდაციითაო. ქუთაისში ინტელიგენციას გავაცანი და ყველა დიდის პატივისცემითა და სიყვარულით სცდილობს შეუმსუბუქოს სასჯელი. თუმცა ამიტომ კარგადა ჰგრძნობს თავის თავს ქუთაისში, მაგრამ მაინც ძალიან ჰსურს ტფილისში გადმოსვლა და ყველანი ვცდილობთ, ეს სურვილი შევუსრულოთო.

ეს იყო 1897 წელს, თუ არა ვსცდები, ზაფხულში. რამდენიმე თვის შემდეგ გერნგროსი უკვე ტფილისში გაჩნდა. მე მალე გავიცანი ის ქალთა მეორე გიმნაზიის მასწავლებლის ქ-ნ პ. ს. ჟუჩენკოს ოჯახში. ამ დიდად პატივცემულ და მშვენიერ ადამიანის სახლში იმ ხანებში ბევრი ინტელიგენტი იკრიბებოდა. სახალხო კითხვები, წარმოდგენები მაშინ ახალი საქმე იყო ტფილისში და პ. ს. ჟუჩენკო უახლოეს მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში. იმ დროს, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობ, ქ-ნ ჟუჩენკოს ძმაც ჩამოუვიდა იმერეთიდან, სადაც იგი ფილოქსერის პარტიაში მუშაობდა. ეს ახალგაზრდა, ფრიად კეთილშობილი, წყნარი, სიმპატიური ადამიანი უნივერსიტეტიდან იყო დროებით დათხოვნილი. ორივე ახალგაზრდა—ეს ჟუჩენკო და გერნგროსი—ერთად გავიცანი ხსენებულს ოჯახში. გერნგროსზე, როგორც მოგახსენეთ, წინადაც მქონდა გაგონილი ამბები ნ. პ. კ—გან, მაგრამ იგი ურეკომენდიციოდაც იწვევდა საერთო ყურადღებას; ჯერ [illegible]

[illegible]

სტუდენტ ჟუჩენკოს შორის რომანი გაჩაღდა. მართლაც, მალე ახალგაზრდებმა ჯვარიც გადიწერეს და დროებით განმარტოებული ცხოვრება დაიწყეს. უნდა ვთქვა, რომ სტ. ჟუჩენკო ცოტა ავადმყოფი, ნერვებ დასუსტებული ახალგაზრდა იყო და ამიტომ

არ გაგვიკვირდა მაინცა და მაინც, როცა ყური მოვკარით, რომ ცოლ-ქმარს შორის რაღაც უკმაყოფილება ჰსუფევსო. პირადად გამიგონია ქ-ნ პ. ს. ჟუჩენკოსაგან—ჩემი ძმა ვერა გრძნობს კარგად თავს, ცოლთან უთანხმოება აქვსო. მაგრამ ამ უთანხმოებას არაფერი არა ჰქონდა საერთო პოლიტიკასთან. აი, ამ პუნქტში, ზინ. ჟუჩენკოს ავტობიოგრაფია შემცდარ ფაქტებს გადმოგვცემს. იგი სწერს, ჩემი ქმარი დერპტში წავიდა სასწავლოდაო და მეც თან გავყევიო. იქ ქმარმა ეჭვი შეიტანა ჩემს მოღვაწეობაში (ვითომ პოლიტიკურს მოღვაწეობაშიო) და, ზუბატოვის რჩევით საზღვარ-გარედ გავიქეციო. ეს მართალი არ არის: კარგად მახსოვს და სხვებსაც ეხსომებათ, რომ ზინ. ჟუჩენკო აქედან, ტფილისიდან, გაექცა ქმარს. მისმა მოულოდნელმა გაპარვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ნაცნობ წრეებში. მაშასადამე, პოლიტიკა და ზუბატოვის რჩევა აქ მოჭორილი უნდა იყოს.

საერთოდ, ზოგი რამ დიდად საეჭვოა ჟუჩენკოს ავტობიოგრაფიაში. როგორღაც დაუჯერებელია, ვითომ იგი სიყრმიდანვე რწმენით იყო რევოლიუციის დაუძინებელი მტერი და დაბადებითვე გამცემი და ჯაშუში იყო. ქუთაისშიაც და ტფილისშიაც მას ადვილად შეეძლო გაეცნო და დაახლოვებოდა, მაგალითად, ს.-დ. პარტიულ ორგანიზაციებს, მაგრამ, როგორცა ვთქვით, ინტერესსაც არ [illegible]

[illegible] წმობს, რომ 1897 წლიდან 1905 წლამდე არავინ გამიცია და ფაქტებიც ამტკიცებენ ამას. ასე რომ, ჩვენ ვფიქრობთ, იგი აზვიადებს თავის როლს და სტყუის—ახალგაზრდობიდანვე ჯაშუში ვიყავ რწმენითაო და უკვე აგენტად შევედი ეს-ერების პარტია-

[illegible]

გ.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **პანაშვიდი.** გუშინ, პირველ სექტემბერს, [illegible]

✦ **რევიზია.** [illegible]

✦ **სასწავლებლის გაუქმება.** [illegible] ლიერო სასწავლებლის გაღებას აპირებენ თურმე ბაქოში ან ყარსში.

✦ **ნ. ა. მოროზოვის ლექცია.** ამ დღეებში ტფილისში მოდის ცნობილი პეტერბურგელი (28 წელიწადი იყო გამომწყვდეული ამ ციხეში) ნ. ა. მოროზოვი. [illegible]

✦ **კავკ. სამასწავლო მზრუნველის წასვლა.** [illegible]

✦ **საზოგადო სკოლები.** [illegible] 299 მასწავლებელი, აქედან 192 ვაჟი და 107, ქალი. მოსწავლე ყოფილა 8,572, აქედან ვაჟი—4,356, ქალი—4,216 [illegible] სულ 106,502 მ. 41 კ. (ტ. ლ.)

✦ **ფუნიკულიორის დირექტორი.** [illegible]

✦ **სეირნობა.** [illegible]

✦ **ახალი შენობა სემინარიისა.** [illegible] შემწე მიცკევიჩი, ვიცე-გუბერნატორი, სამასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე ბ-ნი ლოპატინსკი, ქალ. თავ. თან. ალ. კოჩარაძე, და სხვანი. სემინარიის შენობებს უჭირავს სულ 6 დესეტინა ადგილი. სემინარია, სარდაფი რომ არ ვიანგარიშოთ, შეიცავს სამს სართულს. პირველ შესავალში სააქტო დარბაზია, რექტორისა და ინსპექტორის ბინები, სამასწავლებლო დარბაზი და რამდენიმე კლასი. მეორე სართული სულ საკლასო ოთახებს უჭირავს, ხოლო მესამე სართულში მოწყობილია პანსიონერებისათვის სამეცადინო და დასაძინებელი ოთახები. სააქტო დარბაზში ჰკიდია იმპერატორებისა და საქართველოს ძველ ექსარხოსთა სურათები. შენობა განათებულია ელექტრონით, აქვს აბანო და სხვა. ეზოში აშენებულია საავადმყოფო და მასწავლებლების ბინები. სულ არის (ორ-სართულიან სახლში) 11 მასწავლებლის ბინა, თითოზე 6 ოთახი. საზოგადოდ, სემინარიის შენობები კარგად არის აგებული. დამჯდარა სულ 600,000 მანეთი.

✦ **დუტუ მეგრელის თხზულება.** უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა დუტუ მეგრელის თხზულებათა პირველი ტომი. ამ ტომში ლექსები და პოემებია მოქცეული.

✦ **უყურადღებოდ დატოვება.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: მთავარმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა ვოლნოოპრედილიაიუშჩის საჯაიას საკასაციო საჩივარი*. საჯაიას ჰბრალდება მემამულის თავად ჩიჩუას მკვლელობა, რისთვისაც კავკასიის სამხედრო სასამართლომ საჯაიას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

✦ **საქართველოს საეგზარხოსო.** „ნოვოე ვრემია“ იუწყება, აღარ გააუქმებენ საქართველოს საეგზარხოსო.

✦ **საქმე მკვლელობის შესახებ.** 4 სექტემბრისთვის კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოში განსახილველად დამიშნულია საქმე ნიკო, არსენ და აბრამ ციხელაშვილებისა, დავით პეტრიაშვილისა და მირიმონ მღრძისა, რომელთაც ბრალდებათ ბორჩალოს მაზრის სოფელ დმანისის მცხოვრების ვასილ ოქმელაშვილის მოკვლა. საქმე ხალხის დასწრებით გაირჩევა. ბრალდებულთ დაიცავს ვექილი ი. კაჩუხოვი.

✦ **პანაშვიდი მატინოვის სულის მოსახსენებლად.** კვირას ვანქის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ქალაქის თავად ნამყოფის ახლად გარდაცვალებულის მატინოვის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ქალაქის გამგეობის წევრნი, ზოგიერთი ხმოსნები და პატივის მცემელნი.

✦ **საპატიმროს შენობა.** ტფ. საგუბერნიო საპატიმროს შენობის საქმე საბოლოოდ გადაწყდა. მთავრობამ 700,000 მან. გადასდო შენობის ასაგებად. საპატიმროსათვის ადმინისტრაციას ადგილი შეუძენია ნავთლუღში მანთაშევისაგან.

✦ **ჭლექი ციხეში** მეტეხის ციხის საავადმყოფოში რამდენიმე თვის განმავლობაში ჭლექით 32 კაცი გარდაიცვალა. ტფ. საგუბერნიო ექიმი ბ-ნი ქიქოძე აღნიშნულ საავადმყოფოს ექიმს შეეკითხა, შემატყობინეთ რით აიხსნება ამდენი ხალხის სიკვდილი ჭლექითაო.

✦ **სასჯელის შემსუბუქება.** სამხედრო სასამართლოს განაჩენით სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი სურმავასა და ბაქრაძეს, ხოლო 8 წლით კატორღა—მაისურაძეს. ნამესტნიკის მოადგილემ მათ სასჯელი 4 წლით დაპატიმრებად შეუცვალა.

✦ **წინამძღვარიანთ-კარის სკოლა.** როგორც გადმოგვცეს, ამ დღეებში ბ-ნ ი. წინამძღვარიშვილი ჰმართავს კერძო თათბირს წინამძღვარიანთ-კარის სკოლის შესახებ მოსალაპარაკებლად. ფიქრობენ, გააუმჯობესონ სკოლის საქმე და გააცხოველონ სწავლა-მუშაობა.

✦ **სწავლის დაწყება.** გუშინ, 1 სექტემბერს სწავლა დაიწყო ტფ. საშუალო და დაბალ ვაჟთა და ქალთა სასწავლებლებში. ქართულ გიმნაზიაში დღეს გადაიხდიან პარაკლისს და ხვალ სწავლა დაიწყება.

✦ ტფილისში ამას წინად უგზოდ დაკარგულა ნიკოლოზ ხუბაშვილის ცოლი ეკატერინე, 18 წლისა. პოლიცმეისტერმა ბრძანება გასცა, მონახონ დაკარგული.

# მოწერილი ამბები

**ახალციხე.** როგორც ვიცით, ახალციხელები ექვს კლასიან პროგიმნაზიის დაარსებას აპირებენ. საქმე ასე დაიწყო: როდესაც შარშან ახალციხის ქალაქის რწმუნებულთ შუამდგომლობა აღძრეს

# ეტიუდები ქართულ ლიტერატურიდან

ა. ყაზბეგი (ა. მოჩხუბარიძე).

(დასასრული *)

გადავიდეთ ეხლა ყაზბეგის ნაწარმოების იმ თვისებებზე, რომელიც ჩვენ ზემოდ აღვნუსხეთ. ყაზბეგი იკვლევს, რა აოხრება მოახდინა ხალხის ცხოვრებისა და სულის განწყობილებაში, რა სასტიკი ცვლილება შეიტანა, როგორ დაამახინჯა ახალმა ბარბაროსულმა ძალამ, ვითომ და „კულტურის მაუწყებლის“ სახელით მოსულმა. რასაკვირველია, პირველი უწყალო ნასროლი მოჰხვდა „თემოსნობას“, ხალხის თვითარსებობის პოლიტიკურ, გამოსახულებას და დაარღვია ეს მშვენიერი ნაშთი, ეს საუცხოო თესლი მომავლის პოლიტიკურ განვითარებისა, თუ რომ მთიელს დასცლოდა თავისებური საზოგადოებრივი განვითარება შეერჩინა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ახალი ძალა, უკიდურესის დესპოტიურის ცენტრალიზმის გამომსახველი, ვერ მოითმენდა ვერავითარ თავისუფლებას, ვერავითარ დამოუკიდებლობას. ამიტომაც ჩამოსვლისათანავე ახალი მმართველები, რომელნიც თავის სასარგებლო წესწყობილების უერთგულესი დამცველნი იყვნენ, პირად ინტერესებით გატაცებულნი ხალხის ზნე-ჩვეულების შესწავლას კი არ შეუდგნენ,—მათ მოინდომეს ხალხის ყოველგვარ თავისებურობისა და დამოუკიდებლობის გაცამტვერება. ამიტომ მათ პირდაპირ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ხალხის კანონს, მის სამართალს, მის ზნესა და ჩვეულებას და ხელში ხმლით და ცეცხლით დაიწყეს გავრცელება „ახალის წყობილებისა და ახალის სამართლისა“, რომელსაც არა ჰქონდა არავითარი საერთო ამ ხალხთან. დამარცხებულთა და შემოსეულთა შორის ყოველგვარი ძირითადი განსხვავება იყო, კულტურის, ხასიათის, ბუნების, ჰაერის და მიწის ნიადაგის—ამიტომ ყოველგვარი დამყნა „ახალის სჯულისა“ მოტყუებულ და გაბრიყვებულ ხალხის ცხოვრებაში ვერაფერს ტანჯვისა და ვაების მეტს ვერ გამოიწვევდა და მარტო სამუდამო უკმაყოფილებისა და აღშფოთების დაუშრეტელი წყარო შეიქმნებოდა. ხოლო რა საშუალებით ვრცელდებოდა ეს „ახალი რწმენა“, რა კაცები იყვნენ „ახალის მოძღვრების“ მოციქულნი, ამის საყურადღებო მაგალითებს ყაზბეგის ნაწარმოებში ნახავთ. ყაზბეგი აქაც შემოქმედის საოცარ გამჭრიახობას იჩენს და იმდენზე სცდილობს სინამდვილის ნიადაგს არ განშორდეს, რომ დასასაბუთებლად თავისის ნახატისა ათასგვარი სარწმუნო წყარო მოჰყავს (დუბროვინი, ბერჟე*). რამდენად უტყუარია ყაზბეგის სურათი მაშინდელის „მმართველებისა“, ამას უკანასკნელი დროის შემთხვევებიც გვიმტკიცებენ. ყაზბეგი ნამდვილ წინასწარმეტყველად მოეჩვენება კაცს, თუ შეადარებს მის ნაწარმოების ამ ადგილებს „ცნობის ფურცლის“ შესანიშნავ დოკუმენტთან, სადაც „დანუმრილის საბუთებით“ იყო აღნუსხული თავგასულობა: ქალების ძალდატანებით გაუპატიურება,*) ვაჟების ცემით სიკვდილი, თოფის წარა-მარა ხმარება, ხალხის აწიოკება და სხვა. ასის წლის განმავლობაში ძირიანად შეიცვალა „დაპყრობილი მთა“, შეიცვალა მთელი მისი ზნე-ჩვეულება და სულ ახალი ელფერი მიიღო მისმა ცხოვრებამ; მთელი საქართველოს ცხოვრება არსებითად შეიცვალა—არ შეიცვალა მხოლოდ „მმართველობა“.

თემოსნობის დარღვევა დაიწყო მაშინ, როცა ახალმა მთავრობამ თვით თემის გულში მოსძებნა ისეთი კაცები, როგორიც გაგი იყო, გირდ „გირგოლა“, გელა და თ. ღუდუშაურები, „აპრაკუნეები“ და სხვა. ესენი ახალ ძალას შეეკედლნენ იმიტომ, რომ კარგ მეომრებსავით „დაინახეს საითკენ უფრო სასარგებლო იყო მათთვის“. რადგან იგინი დიდ ძალას წარმოადგენდნენ ახლად მოსულთათვის, ამიტომ მათი ყოველივე წადილი, რომელიც, რასაკვირველია, მარტო თემისა და მთიელების ინტერესის წინააღმდეგი იყო, მაშინვე დაკმაყოფილებული იყო ხოლმე და ეს ხალხი რუსის „ზაკონ-კანონის“ ძალით ყოველსავე ბოროტ-მოქმედებასა და ძალ-მომრეობას სჩადიოდა. რუსის „ზაკონ-კანონზე“ დაამყარა გელამ თავისი უფლება, თემის გადაწყვეტილებას ლაფი გადაასხა და გაქცეული ცოლი სახლში დაიბრუნა. ეს გელა თავდაპირველად, სრულიადაც არ გახლდათ ბოროტის განზრახვებისა, თავდაპირველად იგი „ნამდვილი მთის კაცი იყო მთიელის რწმუნებით და შეხედულებით“; მაგრამ „იასაულობის მეცნიერება“ გაიარა და თემის პატივისცემა დაეკარგა, რადა გასაკვირველია, რომ თემის გადაწყვეტილება შეურაცხყო.—მანვე თემის შემხვეწებელი ონისე ტყვიით განგმირა, რამაც ხევის ბერს ცრემლებითა და ვაებით აღსავსე სიტყვა წარმოათქმევინა: „საძირკველი შეირყა და ცა ჩამონგრევას აპირებს, ხალხი წახდა და თემის პირი ირღვევის. ნახულით თოლთ მიძნელდებისა, გაგონილით სმენა მეკარგებისl.. რაი ვთქვა?.. რაი გითხრათ?“ რუსის „ზაკონ-კანონმა“ მამაცი და მამა-პაპის ზნე-ჩვეულების დიდი თაყვანისმცემელი გუგუაც კი შეაფერხა და მის ამქრებს სხვა და სხვა „ნაიასაულარებს“ ქალის „მერდინი“ გადაალახვინებინა. ამავე „უკანონო კანონიერებამ“ თვით გუგუაც იმსხვერპლა, ვინაიდან იგი გამოვიდა ხალხის უფლების, ხალხის სიმართლის დამცველად, რომელიც „დიანბეგის“ შემწეობით გადალახა მებატონე თ. ღუდუშაურმა. რუსის „ზაკონით აღჭურვილ დიამბეგებთან ყოფნით გარყვნილი გირგოლა, რომელსაც „გადაეარა მთის ხალხის ნამუსი და ჩვეულება“, ძალით შერთავს ნუნუს თავის ძმას, რომ მერე ძალა იხმაროს მაზე, და მთელი სიცოცხლე გაუმწაროს. ხოლო რა რიგ „მმართველებს“ ჰქონდათ მაშინ საქართველოს ბედ-იღბალი ხელში, რა ჯურის ვაჟბატონები იყვნენ ისინი, გადაათვალიერეთ „ციკო“, გადაიკითხეთ „მამის მკვლელი“ და იქ ნახავთ სავსებით, ვინ დაეპატრონა „საუკეთესო თვალს რუსეთის იმპერიის გვირგვინისასა“, ვის ჩაუვარდა ხელში ეს ობოლი მარგალიტი.

თემოსნობის დარღვევას მოჰყვა შერყვნა და დამახინჯება ქალის შესახებ შეხედულებისა. ქალი, ეს ქვაკუთხედი ოჯახისა მთიელის შეხედულებით „პატივსაცემი ქმნილებაა, ცოლი—მეუღლე კაცისა, რომელიც თავის მოთავეს გვერდს უნდა ამოსდგომოდა და მასთან ერთად ეშრომნა, ემუშავნა და, მაშასადამე, ოჯახობაშიაც იმის თანაბარი უფლება ჰქონდა“. ახალმა ძალამ ახალი შეხედულება შემოიტანა მთიელთა ცხოვრებაში და გელა და გრიგოლა გაიხადა ამ შეხედულების გამავრცელებელ იარაღად: გელა იასაულობის დროს დიამბეგთან ლოთობაში გარყვნილი და გაქსუებული, სრულიად შეიცვლის თავის წინანდელ შეხედულებას ქალზე და ეხლა მიაჩნია „რომ ქალი მხოლოდ კაცის სასიამოვნოდ არის გაჩენილი“. ამ გვარის შეხედულების შემდეგ გრიგოლას რადა დაუშლის ხელს, რომ თავისი რძალი გააუპატიუროს და თავისი ბინძური წადილები აღისრულოს. ამ გვარი ბარბაროსული შემოჭრა ახალ წყობილებისა და ძალისა მთიელზე ამაღელვებულადა და აღმაშფოთებლად მოქმედებდა. 50—60 წელი იბრძოდა მთა, ესა თუ ის ნაწილი მთისა, იბრძოდა თავგანწირულად თავის სამშობლოს, თავისი ზნე-ჩვეულების, თავის **თავისებურობის** შესარჩენად და ასალორძინებლად, იბრძოდა უმოწყალოდ, ცხარედ, არაფერს და არავის არა ზოგავდა—მამა შვილსა, ცოლი—ქმარსა, ყველანაირი მსხვერპლი მოჰქონდა, რათა შემოსული მტერი გაექცია, მაგრამ ვერა მოახერხა რა. ყაზბეგის მთიელნი ყველანი მთის ამ წყურვილისა და მისწრაფების გამომსახველნი არიან. მისი ელგუჯა, მისი ბეჟია, მისი გაგუა, ყველა ესენი თავგანწირულნი მეომარნი არიან სამშობლოისათვის. მათ პირადი კმაყოფილება, პირადი ბედნიერება არაფრად მიაჩნიათ, როცა საზოგადო ვაებისაგან გამოწვეული მოქმედებაა საჭირო. გაგუა თავის სატრფოს პირველ მოხვევას გაექცევა, რათა ხალხს მიუდგეს და ხალხის უფლება დაიცვას. ელგუჯა თავის დიდიხნის ნანატრ მზაღოს დასტოვებს და მტერთან შესაბრძოლებლად წავა; ბეჟიას ძლივს ეღირსა ციცის გულში ჩაკვრა და მისი ამბორისაგან გახურებული ტუჩები, შეუბრალებელი ტყვია გაუცივებს გულს სამართლისა და უფლების დაცვისა და გამოსარჩლების დროს. ეს უცნაური ბუნების მოტრფიალენი და მოყვარულნი, ეს შეუდარებელი მიჯნურები, საუცხოო მეგობრები, ლომივით შეუპოვარი, თავდავიწყებული მებრძოლნი არიან თავისის თავისებურობის, თავისის უფლების დამცველნი, რომლისთვისაც არ არის მსხვერპლი რომ არ შესწირონ.

7.

როცა ღრმად ჩაუკვირდები ყაზბეგის გმირთა გულისა და სულის სიმდიდრეს, მათის არსების სიღრმესა და მომხიბვლელობას, ძალაუნებურად გებადება საკითხი, ნუ თუ ამ გვარნი არიან მთიულები, მოხევეები, ეს ცხვრის დაფლეთილ ტყავში გამოხვეული მწყემსები?

პასუხი ძნელი გასაცემია. ჩვენ ჩვენის უბადრუკის თვალით და ბეჩავის გონებით მოვლენათა ზედაპირს თუ დავინახავთ, თორემ მისი სარჩულის, „მოვლენათა დაფარულის კავშირის“ შემჩნევა და გამოაშკარავება ჩვენს საცოდავ ხელთ არ

*) იხ. „დროება“, N 191.

*) სამწუხაროდ, ხელთ არა მაქვს მშვენიერი ეტიუდი მაიაშვილისა ყაზბეგის შესახებ „Новое обозрѣн.“ 1891—1892 წლ. ნომრებში დასტამბული ერთი შენიშვნა აქვს, რამდენადაც მახსოვს მაიაშვილს, რომელსაც მთლად ვერ ვეთანხმები. მაიაშვილი გულისტკივილით მოიხსენიებს ყაზბეგის ზოგიერთის ერის წარმომადგენელს მეტის მეტად შავის ფერადებით, მიკერძოებით გვიხატავსო. მართალია ეს შენიშვნა, რამდენადაც იგი შეეხება ზოგიერთ მთის ხალხს (მაგ. ოსებს) და ჩვენ ვერ ვაპატიებთ ყაზბეგს ამგვარ სისასტიკეს მთელის ერის შესახებ. ხოლო თუ მაიაშვილის შენიშვნა შეეხება „შემოხსეულის ქალის“ ყაზბეგის მიერ დახასიათებას—ამაში ჩვენ სრულიად ვეწინააღმდეგებით მაიაშვილს და ყაზბეგს ვემხრობით. იმ დროის „მმართველების“ საქციელი ყოველსავე ადამიანობას და კაცობრიობას მოკლებული იყო.

**) იხ. „ნინო“, „ბერდია“, „ელბერდი“, „ციცქა“ მე-4 ტმ. ქ. ამ. გ. 1892 წ.

ვეკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე შუამდგომლობის დაარსების შესახებ [illegible] 3200 მანეთი [illegible] (21 აპრილის 1909 წელს) [illegible] 20,000 მანეთი [illegible]

[illegible] სავსე იქნება მოსწავლეებით. საჭიროა მამებმა მეტი ფსა გამოიჩინონ.

**ახალციხელი.**

---

**ქიზიყი.** კვლავ გახშირდა ჩვენსკენ ქურდობა, საქონლის მოტაცება, ბევრი შესაბამი საქონელი დაიკარგა სხვა და სხვა სოფლიდან. მათ შორის საქონელს გამოუთხოვა ს. ჯუგაანის რამდენიმე მეკომური. ამ ერთ კვირაში მინდვრიდან კარგა ძალი საქონელი დაიტაცეს ალაზან გაღმა მცხოვრებმა ლეკებმა. გაიგო თუ არა ეს ამბავი ადგილობრივმა ბოქაულმა შ. ნასიძემ, დაედევნა მტაცებელთ. იმლამესვე გაჩნდა ალაზანთან ს. ყობადხოში. მეორე დილას ადგილობრივ ბოქაულის შემწეობით გატაცებული საქონელიც იპოვნეს და დააბრუნეს, ქურდ მტაცებელნიც აღმოაჩინეს. ეს ქურდები ამ მოკლე ხანში ხელებ შეკრულნი ს. ქვემო-მაჩხანში იქნებიან მოყვანილნი ბოქაულთან...

ჩვენსკენ სამინლადაა გავრცელებული ქუნთრუშა და ყელჭირვება. უპატრონებულ ბის სინსილა გააქრო, მაგრამ ქიზიყელების მშველელი ჯერ არავინ გამოსულა. ორი წელიწადი იქნება ეს დაუნდობელი სენი მძვინვარებს ჩვენსკენ. უპატრონოა ქიზიყი არა თუ ამ საქმეში, სხვაშიაც. მართალია, ს. ქვემო-მაჩხანის ქსენონს დაენიშნა ახალი ექიმი, მაგრამ რა ქნას ექიმმა უწამლოდ... მგონი ამ ერთ კვირაში წამლებიც გამოიწერონ და ცოტაოდენად გამოკეთდეს ქვემო-მაჩხაანის უპატრონოდ მიტოვებულ ქსენონის საქმე...

ქვემო-მაჩხაანსა და ბოდბის ხევში სამჯერ-ოთხჯერ იქმნა წარმოდგენა გამართული სცენის მოყვარეთა მიერ, მაგრამ საზოგადოება წელს გულგრილად ეკიდება ამ საქმეს. ოცდა-სამ ამ თვეს სოფელს ბოდბისხევში გამართული წარმოდგენა რომ ზარალით დასრულდა, წარმოდგენა წიგნთ-საცავის სასარგებლოდ იყო გამართული, მაგრამ ისე ცოტა ბილეთი გაიყიდა, რომ ხარჯის დასაფარად საჭირო იყო იმავ წიგნთსაცავის სასარგებლოდ გამართულ ლატარიის ფული მოეხმარათ... აქაური ინტელიგენცია შეუწყნარებელ გულგრილობასა და ინდიფერენტიზმს იჩენს საზოგადოებრივ საქმეებში.

მას წინად ვწერდი, ვერ იქმნა და ჯუგაანელებს ვერ ედირსად ალაზან გაღმა მდებარე ჭიაურის (თავ. დ. ჩოლოყაშვილისეული) მამული დაემტკიცებინად თავიანთ სახელზე. საგლეხო ბანკი წინანდებურად ყოველ წელს დასდას ართმევს ჯუგაანელებს. დალის გამორთმევას ვინ ინაღვლიდა, რომ ცოტასანს, შემოდგომამდის მაინც აღროვებდენ გაჭირვებულ გლეხებს საიჯარო ფულის მცირე ნაწილს მაინც და ეხლავე არ უჭერდენ ყელში საბელს..

კი, ეს ორი კვირაა ჯუგაანელებმა მოსჭრეს სიმინდი, საქონლიან-ურმიანად ალაზან გაღმა არიან დაბანდებულნი და მამულის გამგე ფეხს არ აცვლევინებს, სანამ სრულიად არ შეიტანენ ფულს... ღმერთმა უშველოს მამრიგებელ-შუამავალს ა. ჯორჯაძეს, მან ოცდა სამს ამ თვეს მისწერა გამგეს, ხალხს ნუ აბრკოლებთ, და შეიძლება გამგეც მოლბეს და ამოდენა ტანჯვა ასცილდეთ ჯუგაანელებს... X.

# სპარსეთი

**შახსევნები დაეცნენ რუსის ყაზახებს.**

ლაბის პოლკის 11 ყაზახი აცილებდა ერთ თავიანთ ავადმყოფ ამხანაგს არდებილიდან ასტარაში. სოფ. ნოვადეს ახლო ყაზახებს დაეცნენ შახსევნები, ერთი თოფი, ორი ნაბადი და ავადმყოფ ყაზახის ლოგინი წაართვეს მათ და გაიქცნენ. რუსის კონსულმა არდებილიდან 60 პლასტუნი-ყაზახი გაგზავნა ლაბის ყაზახების საშველად. მათ 12 თოფი წაართვეს შახსევანების მეთაურს მამედ-კული-ხანის კაცებს.

**რუსის ჯარის გაჭირვება.**

„გოლ მოსკოვი"-ს დეპეშით ატყობინებენ თავრიზიდან: რუსის ჯარი დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი, არა აქვთ პერანგები, შალვრები, ქუდები: ტანისამოსი ძალზე გაუკვდათ; ჯარისკაცების ტანისამოსი კონკებადაა ქცეული: ზოგს უსახელო პერანგი აცვია; საინტენდანტომ მეტად ცუდი, უვარგისი ტანისამოსი გამოუგზავნა აქაურ ჯარსა. მალე სიცივეს დაიჭერს, თბილი ტანისამოსი კი სულ არა აქვს ჯარსა. სპარსელები სასაცილოდ იგდებენ რუსის ჯარისკაცების ჰუჰყიან და დაგლეჯილ ტანთსაცმელს.

# ოსმალეთის ამბები

**ეროვნული საკითხი ოსმალეთში.**

კანონი, საზოგადოებათა შესახებ, რომელიც ოსმალეთის პარლამენტმა დაამტკიცა სესიის დახურვის წინა დღეებში, გვიჩვენებს, რომ ოსმალეთის ნორჩი კონსტიტუციაც დაეჯახა იმ კლდეს, რომელიც აგერ ორმოცი წელიწადია საქმეს უჭირვებს ავსტრიას. ეს კლდეა—ეროვნული საკითხი, რომელიც ოსმალეთის ახალმა კანონმა არ გადასწყვიტა-კი, მხოლოდ ცუდად და ტლანქად გადასჭრა.

კონტრ-რევოლიუციის შემდეგ, ახალგაზდა ოსმალები თითქო გონს მოვიდნენ და მიხვდნენ, რომ მათ ხელს არ მისცემდათ არა-ოსმალთა ერების გაბრაზება. უკვე წარსულ მაისში მათ გამოაცხადეს, რომ სხვა და სხვა ერის მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქნებაო, მაგრამ ამასთანავე უმატებდნენ, რომ ყოველი სეპარატისტული მისწრაფება დათრგუნვილ უნდა იყოსო. მაგრამ ასეთ მისწრაფებათა განვითარების გაჩერება შეუძლებელი იყო. ოსმალეთის სერბებმა გამოაცხადეს თავიანთ გაზ. „ცარიგრადსკი გლასნიკ"-ში, რომ ისინი თხოულობენ სერბების სრულს გათანასწორებას ოსმალებთან. „ოტომანის იმპერიაში სერბს უფლება უნდა ჰქონდეს თავისი თავი უველგან და უოველთვის, გზაში თუ სასამართლოში, სერბად აღიაროს; ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ, სერბთა ეროვნება ოსმალეთში პარლამენტის მიერ გამოცემულმა კანონმა უნდა იცნას ყველა სხვა ეროვნების თანასწორად."

მაკედონელ ბოლგართა მოთხოვნა ჩამოთვლილი იყო ცნობილ დ. რიზოვის ერთ წერილში, რომელიც მან ახმედ-რიზას გაუგზავნა. რიზოვი ამტკიცებდა იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც, თუმცა იგი სულ სადა და მარტივია, არას დროს არ ეთანხმებიან უფრო ძლიერი ერები. რიზოვი სწერდა: იმ სახელმწიფოს პოლიტიკური ერთობა, რომელიც დასახლებულია რამდენიმე ერით, შეუძლებელია, თუ ამ სახელმწიფოში ზნეობრივი ერთობა არა სუფევს, ხოლო ეს ზნეობრივი ერთობა შეუძლებელია, სანამ ერთ-ერთი ეროვნება ცდილობს სხვებზე ბატონობასო".

ალბანელებიც მოითხოვენ ეროვნულ ავტონომიას. მათ ეროვნულმა კონგრესმა დებრაში დაადგინა, ალბანიას ეროვნული ავტონომია უნდა მიეცესო. ასე რომ მაკედონიაში მცხოვრები ერები თანახმად და მწყობრად მოითხოვენ ეროვნულ არსებობის უფლებას და მათ ფიქრადაც არ მოსდით ოტომანებთან შეერთება. ეგაა ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტი ყურს არ უგდებს და ანგარიშს არ უწევს ასეთ მოთხოვნებს. ჯერ კიდევ ივლისის დამდეგს მაკედონიის ერებმა პროტესტი განაცხადეს საზოგადოებათა შესახებ კანონის წინააღმდეგ. კომიტეტმა ამის პასუხად ივლისშივე შემდეგი საოცარი რეზოლიუცია დაადგინა: „ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი კონსტიტუციის წინააღმდეგს არაფერს არა ჰხედავს კანონის იმ მუხლში, რომლითაც აკრძალულია ეროვნული საზოგადოებანი და პოლიტიკური კლუბები. პირიქით, „ერთობის და პროგრესის კომიტეტის" გვერდით, რომელიც იღწოდა სამშობლოს ხსნისათვის და რომელშიაც იდებენ უველა მოქალაქეს ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, სრულიად მეტია უველა სხვა ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები და საზოგადოებანი.

ამ კანონის მე-3 მუხლი ჰკრძალავს ოტომანთა კრების კანცალეგებას პოლიტიკურს საფუძველზე," ხოლო მე-4 მუხლით აკრძალულია ის საზოგადოებანი, რომელნიც დაფუძნებულ არიან ეროვნულ პრინციპზე და რომლებსაც ჰქვიანთ ეროვნებათა სახელი". აი სწორედ ამ მე-4 მუხლმა გამოიწვია დიდი უკმაყოფილება და პროტესტი მაკედონელ ერებისა, სერბებისა, ბოლგარელებისა, რომლების წარმომადგენლები შეიკრიბნენ სალონიკში და შემდეგა რეზოლიუცია დაადგინეს: „საზოგადოებათა შესახებ კანონის მე-4 მუხლი, იმის მაგივრად, რომ შეარიგონ და დააშვიდონ ერთისა და იმავე სამშობლოს შვილნი, • განხეთქილებასა და შუღლსა სთესს, ხოლო ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს და თავისუფლების კანონებს. გულმხურვალე პროტესტს ვაცხადებთ ამ კანონის წინააღმდეგ და ვსთხოვთ პალატას უარ-ჰყოს იგი".

პროტესტმა არ უშველა საქმეს, ეს კანონი დაამტკიცა პალატამ, მაგრამ ბალკანეთის მთელი პრესა დღესაც განაგრძობს მის წინააღმდეგ წერას. ეჭვი არაა, რომ ის გზა, რომელსაც დაადგა კონსტიტუციონალური ოსმალეთი, საშიშარი გზაა („რეჩ").

# რუსეთი

**◆ რუსეთ-იაპონიის ომის შედეგი.** რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ ბევრი აფიცერი და სალდათი გაგიჟდა. გაგიჟებულები სხვა და სხვა საავადმყოფოში არიან მოთავსებულნი. მათი უმეტესი ნაწილი მოთავსებულია მოსკოვის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში. ამ დღეებში ამ საავადმყოფოს მთავარ ექიმს პროფესორ ბეხტერევს [illegible] ჰკუაზე შეშლილთა შესახებ ცნობები მიუწერია. [illegible] შეშლილებს ძალიან ეშინიანთ თურმე თოფის და სხვა რაიმე იარაღის ხმისა. საკმაროა გაიგონონ თოფის სროლა, რომ სულ გადირივნენ, ფანჯრები დაამტვრიონ, არიქა იაპონელები დაგვეცნენ, თავს უშველეთო. საწყლები ხელად ჩასაფრდებიან, რაც კი ხელში მოხვდებათ მოლანდებულ მტრებს ესვრიან, ან როგორც საპიორი რიბაკოვი იქცევა, შეუდგებიან სიმაგრეების აშენებას, დღეს თუ არა ხვალ იაპონელები გაჩნდებიანო. ზოგიერთები დარწმუნებულნი არიან, რომ იაპონელებს ტყვედ ჰყავთ წაყვანილნი და ყოველ დღე სცდილობენ საავადმყოფოდან გაქცევას. პოლკოვნიკი რ—ი (პორტ-არტურში იყო) ყოველ დღე კითხულობს, სტესელი ისევ იცავს პორტ-არტურსო, კუროპატკინი მოგვეშველება თუ არაო და სხვა. სამხედრო ექიმი ჩადომისლოვი სულ მუდამ გალობს, სწირავს, პანაშვიდებს იხდის, ან გულ მოსაკლავი ხმით გაჰყვირის: „მხეცებო, ქვეყანა სისხლით რად მორწყეთ, რად? რატომ არ მანებებთ თავს, გამიშვით მეც ვიცოცხლო, თქვენ რა"! აფიცერი ორლოვი ორ რეფერატს სწერს თურმე: „ჰააგის კონფერენციის მიზნები" და „კაცობრიობის პრობლემები". ექიმის სიტყვით რეფერატი წმინდა მეცნიერული შრომაა და ძალიან საინტერესოა., რეფერატების დამთავრებას ის უშლის ხელს, რომ საწყალს მალ-მალ უვლის ბნედა და გულ წასული ძირს ეცემა და სხვა.

**◆ რედაქტორი და თანამშრომლები.** „გოლოს. მოსკ." კიევიდან ატყობინებენ: 23 აგვისტოს ვრუბლევსკის სტამბაში პოლიციელები მოვიდნენ და კონფისკაცია უყვეს გაზეთ „კიევსკოე უტრო"-ს. როგორც გამოირკვა გაზეთის კონფისკაცია გაზეთისავე რედაქტორ კარანტას თხოვნით მოუხდენიათ. საქმე ამნაირად ყოფილა: „კიევსკოე უტრო" სულ ცოტა ხანია, რაც არსებობს, მაგრამ თავის რედაქტორ გამომცემელს მაინც კარგ შემოსავალს აძლევს და ეს არც გასაკვირველია, რადგან გაზეთი თითქმის სულ სხვა გაზეთებიდან არის გადმობეჭდილი. რედაქტორ-თანამშრომლებს ძალიან ცოტას აწერინებს და რასაც აწერინებს, იმაშიაც თითქმის არაფერს აძლევს და თუ აძლევს, იმასაც ვაივაგლახით. ამის გამო თანამშრომლებს გადაუწყვეტიათ ჯავრის ამოყრა. მთავარ თანამშრომელს დაუწერია ორი წერილი და თუმცა რედაქტორს უარი განუცხადებია დაბეჭდვაზე, თანამშრომლებს როგორღაც მოუხერხებიათ წერილების სტამბაში მიცემა. წერილები განგებ ისე დაუწერიათ, რომ ადმინისტრაცია უ'ათუოდ დაჰკეტავდა გაზეთს. როდესაც რედაქტორს გაუკია

---

არის. ამას შესძლებენ მარტო დიადის ნიჭით შემოსილი პოეტნი, მწერალნი, ზე-კაცნი. რალანაირად შეგვიძლიან ჩვენ ჩვენის ბეცის თვალებითა და მოკლეს ჭკუით გავასწოროთ მათი ბრწყინვალე გონების ალმოჩენილი, ჩვენის ვიწრო თვალთა ხედვის ისარით გავზომოთ ის უსაზღვრო ჰორიზონტი, რომელსაც მათი ნათელი აზრი და ჭკუა მისწვდება. კაცის გული ზღვაა და ამ ზღვის უფსკრულში ჩახედვა ყველას არ შეუძლიან, მარტო რჩეულს რგებია ეს ხვედრი. ხოლო რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ მგოსანი და მწერალი უბრალო მიწის შვილია, ის მაინც უბრალო მიწის შვილთა შორის **რჩეულია**; მისი გონება უფრო მახვილია და ფართო, მისი აზრი ცას ეპოტინება, მისი შორს მჭვრეტელობა გამოუცნობელს ეჭიდება. შესაძლოა, ყაზბეგმა ის დაინახა უბრალო საცოდავ მეცხვარეთა გულში და სულში, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივი ადამიანები ვერ ვამჩნევთ. შესაძლოა იმ დროში, რომელსაც აღგვიწერს ყაზბეგი, ისეთს დროში, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო მთელის ერის თვითარსებობის დასაცველად, სადაც ორი ერთმანეთის სრულიად და შეურიგებლად წინააღმდეგი ელემენტი იბრძოდა, ხალხის ფსიხოლოგია ჩვეულებრიობის საზღვარს გადასცილდა და თვით საუკეთესო თვისებანი ადამიანის სულისა გარედ გამოაჩინა,

როგორც გინდათ, ისე განსაჯეთ, მაგრამ ყაზბეგის ნაწარმოები ერთი ბეწოთიც არ არის **სინამდვილეს** დაშორებული, ერთი წუთითაც რა გაფიქრებიებთ, რომ იქ აღწერილი მოვლენა **ბუნების კანონების** წინააღმდეგი იყოს, იქ არ არის არავითარი სასწაული, არც მისტიური, არც კაცთა გრძნობის გარეშე არსებულის მოვლენების მიმდინარეობის ნატამალიც არ არის ნაჩვენები, და ყოველივე ამით იგი სრულიად **რეალური** ნაწარმოებია. კიდევ მეტი: საუკეთესო მხარე ამ მოთხრობებისა მეცნიერულ კვლევაზეა დამყარებული—მისი ფსიხო-ფიზიოლოგიური აღწერა სიყვარულის გრძნობისა, და ისტორიულ დოკუმენტებზე—სოციოლოგიური ნაწილი მისის ნაწარმოებისა. ამ მხრივ ვერავინ ვერ უკიჟინებს ყაზბეგს, რომ მისი ნაწარმოები სინამდვილის დასახიჩრება იყოს, სინამდვილის დამახინჯება. პირიქით, ყაზბეგი ბევრად უფრო მტკიცე ნიადაგზე სდგას, როცა ადამიანის სულის მოძრაობის თვით საიდუმლო კუნჭულზე მიგვიშუქებს მისის ბრწყინვალე ნიჭის შემწეობით, ვიდრე ბევრი უკბილო, ვითომ და რეალისტი, რომელსაც ჰგონია, რომ ნამდვილი რეალიზმი იმაში მდგომარეობს, ფოტოგრაფიულად გადმოიღო ყოველდღიური მოვლენა, ამ მოვლენათა ზედაპირი, ამ მოვლენათა ის მომენტები დახატო, რომელიც ყველასათვის ერთგვარად თვალსაჩინოა. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ მწერლის წერის კილო, თვისება განსხვავდება მით, თუ როგორ ეპყრობა იგი სინამდვილეს. რამდენადაც მწერალი სცდილობს სინამდვილეს შეჰხედოს ობიექტიურად, სცდილობს სინამდვილის ახსნასა და გამორკვევაში თავისი პირადობა, თავისი „მე" უკანა პლანზე დააყენოს (რამდენადაც ეს, რასაკვირველია, შესაძლებელია ისეთის ძლიერის პირადობისათვის, როგორც მწერალია), იმდენად იგი **რეალისტია** მისი წერის კილო, მისი სკოლა **რეალიზმის** სკოლაა, რეალიზმის კილოა. ხოლო თუ სინამდვილეს იმ სახით გადმოგვცემს, როგორც ეს მის განსაკუთრებულ ინდივიდუალურად განსხვავებულს ნიჭს ეჩვენება და სრულიადაც არ აქცევს ყურადღებას იმას, რომ დაუახლოვოს თავისი გამოსახულება ჩვეულებრივ მიწის შვილთა შეხედულებას იგი იმდენად **რომანტიკოსია,** მისი წერის მანერა **რომანტიულია.** თუ კარგად ჩაუკვირდებით ამ განსხვავებას მწერლის წერის კილოისას, რომლის შესახებ ჩვენ არა ერთხელ გვიბაასებია ჩვენს „ეტიუდებში", მაშინვე შეამჩნევთ, რომ ყაზბეგი **რომანტიკოსია.** რაც არ უნდა ვსთქვათ, ყაზბეგის გმირები, მისი ელგუჯა, მისი ონისე, მისი ვაჟია, მისი სულთი და თვით მისი ქალებიც მზალო და ციცია, ელისო და ცაკო, კიდევ მეტი—თვით მთელი ბრბო, ჯგუფი ხალხისა, რომელიც ასეთს ნაზ გრძნობიერებას იჩენს, თვით რელიგიურის ექსტაზით ეპყრობა თავისს საბშობლოს, თავის ზნე-ჩვეულებას, თავის თავისებურობის სიმბოლოს—თემოსნობას—ყველა ესენი ყაზბეგის ღვიძლი ძმები არიან, ყველა ესენი იქცევიან და ჰფიქრობენ ისე, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ ყაზბეგის აზრით. რასაკვირველია, ყაზბეგმა ბევრი რამ ისეთი შეამჩნია და გადაგვიშალა მოხევეს სულისა და გულის ნადები, რომელიც ჩვენთვის უხილავი იქმნებოდა ყოველთვის, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ იმის გმირებს მან ჩაუნერგა ნაწილი თავის სულის მოძრაობისა, ნაწილი თავისის გულის წუხილისა, გონების ნაფიქრებისა და აზრის მისწრაფებისა და ამნაირად შედუღებული მოხევე—გამოვიდა მთელი მწყემსი, გარედამ დაგლეჯილ ტყაპუჭში გამოხვეული, სულით და გულით კი ყაზბეგისგან მონათლული, ყაზბეგისგან შექმნილი. ამაში იგი, როგორც მწერალი, **რომელიც** თავის პირადობას პირველ პლანზე აყენებს, რომანტიკოსია, მაგრამ მისი რომანტიზმი მით განირჩევა ძველის რომანტიულის კილოდან, რომ იგი სინამდვილის შეურყეველ საფუძველზედა სდგას *); მას განძევებული აქვს თავის ნაწარმოებიდან ყოველივე მოვლენა, რომელიც სინამდვილეზე მოშორებულია და მისტიურს სამეფოში აქვს ადგილი. გარდა ამისა, იგი თავისს ნაწარმოებში გამოსთქვამს არა კერძო, პირად არა ჩვეულებრივ აზრსა და გრძნობას, არამედ ისეთს, რომელიც შეუგნებლად თუ შეგნებულად თავსა და გულში ჰქონდა, სულსა და აზრს უწამებდა მთელს ქართველს ერს და მის შეგნებულს ნაწილს. გარდა ამისა, მისი რომანტიზმი რევოლიუციონურიც არის. იგი აღშფოთებულია აწმყოთი, ღლევანდლობით, გამამხნევებელ, წასაქეზებელ და წასაბაძავ მაგალითებს ეძიებს ახლო წარსულში, მთაში, მთის ხალხში, მათ მაღალ გრძნობას სიყვარულისას, მეგობრულ თავ-განწირულებას, მამულისთვის და თავისებურობისათვის შეწყვეტილ ტრფიალს, რომლისთვისაც ყოველგვარი მსხვერპლი მოაქვთ—ყოველსავე ამას იდეალად უსახავს დღევანდელ დაბეჩავებულ, დაკნინებულ და ლაჩრად ქცეულ საზოგადოებას. **) მაგრამ მისი წარსულში იდეალის ძებნა, მისი მდაბიო ხალხში წასაბაძავ მაგალითების დასახვა—სრულიად არ არის რეაქციონური, სრულიად არა ჰგავს ტოლსტოის მოძღვრებას. ხალხში ტოლსტოი ეძიებს სულის სიმშვიდეს. ხალხის ინდიფერენტიზმი, ხალხის „არა წინააღდგომა ბოროტისა", ხალხის უდარდელობა და თითქმის პირუტყვად ქცევა—მას კაცობრიობის ერთად ერთ მხსნელად მიაჩნია. სულ სხვაა ყაზბეგი. იგი მთის ხალხში ეძიებს იმ იდეალებს, იმ თვისებებს, რომელიც სწორედ აუცილებელია ყოველ კულტურისა და ყოველ პროგრესისათვის. ყაზბეგს არც კი შეეძლო შეეგნო, შეეთვისებინა აკიმის ფილოსოფია, რომელიც მარტო „ტაკ" „ტაკში" გამოიხატებოდა. მას არ შეუძლიან მიხვდეს იმ ფილოსოფიას, რომელიც რუსის „მუჟიკის" სიბინძურეში ხედავს სულის ამამაღლებელ მაგალითს. მისთვის ბოროტის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა, ომი ხელში ხმლით, ყოველგვარი მსხვერპლი—აი, რა არის სანატრელი და ამას იძიებს და ჰპოებს იგი მთის ხალხში; მისთვის გრძნობა სიყვარულისა უსაზღვრო და ფატალური, კავშირი მეგობრული, უანგარო და ყოველგვარ თავგანწირულებით აღსავსე—აი, რა არის მოსაძებნი, აი, რა არის მისაბაძავად დასასახი—იქ იმ მთის შვილთა ცხოვრებაში, რადგან ბარს შაბლონის და მეწვრიმალურ გრძნობის მეტი არა ასულდგმულებს რა. მისთვის აქტიურ პროტესტს, პროტესტს მთელის ხალხის, მთელის ქვეყნისას, მთელი ერთის მხრისას—ამას აქვს მნიშვნელობა და არა კაცის ენერგიისა და სულის დამამხობელ „არა წინაღდგომას ბოროტისა". მისთვის არც კი არსებობენ ისეთი ადამიანები, ისეთი ნულები, რომელთაც შეეძლოთ ამ განყენებულის პრინციპის აღსრულება—მისი ქვეყანა დასახლებულია ან „გაგითა," „გელა"-თი, „გირგოლათი" და „აპრაკუნეებით", რომელნიც ბოროტს ხელს უმართავენ და შველიან, ანა და ელგუჯათი, ბეჟიათი, გაგუათი, კობათი და სხვათი, რომელნიც მთელი თავისი არსებით, მთელის თავისი ძალით და ღონით „ბოროტის ძალმომრეობის" წინააღმდეგ იბრძვიან.

ყაზბეგმა თავისი გმირები თავისებურ იარაღად გაიხადა, თავისი სევდისა და ოხვრის, თავისის რწმენისა და სურვილების გამომხატველად. ამგვარად მან რაელური ელემენტებიდან, რომელიც ძალიან ახლო ჰქონდა გაცნობილი მთაში,*) შექმნა მთელი ახალი ქვეყანა, მშვენიერისა და წარმტაცის გმირებით დასახლებული, რომელიც სამაგალითო მისაბაძავად დაგვისახა. არსებულის სინამდვილის ელემენტიდან, ყაზბეგმა ვით ჯადოსანმა ქიმიკოსმა, სრულიად ახალი სანახაობა დაგვისახა.

ეს შეადგენს ყაზბეგის სახელს და ღირსებას როგორც მწერლისას. განა ასევე არ მოიქცა „ვენერა მილოს" შემქმნელი. განა გინახავთ სადმე ასეთი მშვენიერება, თუ არ იმ ქვეყანაში, რომელიც უკვდავმა გენიოსმა შექმნა; ასევე არ მოიქცა მიქელ ანჯელო, რომელმაც შექმნა თავის ლუსკუმებში და ნახატებში მეორე სამყარო, თითქმის ისეთივე დიდებული, როგორც არსებული; შექსპირი, ეს უკდავი გულთა-მხილავი, რალას შვრებოდა, თუ არ მასვე, რომ სინამდვილე თავის „მე"-სათვის ჰყავდა დამორჩილებული და მერე ამ სინამდვილეს იმნაირად დაგვანახვებდა, როგორც ეს მის გონებას ეჩვენებოდა: გინახავთ სადმე ან ოტელლო ან დეზდემონა, ან იაგო, ან რომეო, ან ჯულიეტა, ან მაკბეტი, ან ჰამლეტი, ან ოფელია, თუ

---

*) მეგახსენეთ, ხშირად იგი „დოკუმენტებზედ"-აც კი ამყარებს თავის მოთხრობას.

*) იხ. წერილი ა. ხახანოვისა „რუსსკაია მისლ" 1893 წ. ან წერილი ფრანგულ ჟურნალ Revue-შიაც N XII.

*) იხ. მისი ნამწყემსარის მოგონება.

ეს, სტამბისაკენ გაქანებულა, რომ გაზეთი აღარ გამოეშვა მეორე დღისთვის. თანამშრომლებს სტამბაში დაუპატიმრებიათ რედაქტორი და აღარსად გაუშვიათ. რედაქტორის საბედნიეროდ სტამბა სახლის პირველ სართულში ყოფილა მოთავსებული და მას მოუხერხებია ფანჯრიდან გადახტომა. რედაქტორი კარანტა იმ წამსვე პოლიციაში გაქანებულა და გაზეთის კონფისკ ცია მოუთხოვია. რა თქმა უნდა, პოლიციამ დააკმაყოფილა რედაქტორის თხოვნა.

✦ **პეტერბურგის უნივერსიტეტის დადგენილება.** აწ არსებულ წესებით უნივერსიტეტში სტუდენტს ერთ ფაკულტეტზე მხოლოდ ექვსი წელიწადი შეუძლიან დაჰყოს. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს განუხილავს ეს დადგენილება და დაუდგენია, სტუდენტს ერთ ფაკულტეტზე რამდენი წელიწადიც უნდა, იმდენი დარჩება, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ყოველ წელიწადს უნდა ჩაეწეროს ლექციებზეო.

✦ **უვიცობის შედეგი.** ვიღასაც არხანგელსკის გუბერნიაში ხმა გაუვრცელებია, ხოლერა მალე „გაიქცევა" და მის მაგივრად შავი ჭირი მოვაო. ეს ხმა გავრცელდა, თან და თან გაიზარდა და ზოგიერთ ადგილებში სხვანაირი სახე მიიღო. აგვისტოში ბებერი ცედაკაცის სახით გვეწვევა შავი ჭირი, ღამე შემოივლის სოფლებს და ვისაც ეძანება ყველას მოჰკლავსო. უვიც ხალხს შიშის ზარი დაეცა. დაღამდებოდა თუ არა, სახლის კარებებს მაგრა ჰკეტავდნენ აღარავინ იძინებდა და სულ ლოცულობდნენ. სოფლებში აღმოჩნდნენ ისეთი პირებიც, რომლებმაც გადასწყვიტეს შავი ჭირის მოკვლა. ასეთი პირი, სხვათა შორის, სოფელ სოლზაშიაც აღმოჩნდა. ერთ საღამოს ამ სოფელში მინდვრიდან გულგახეთქილი გოგო მოვარდა, არიქათ თავს უშველეთ, შავი ჭირი მოდისო. „მამაცმა" გლეხმა იმ წამსვე კეტს ხელი წამოავლო, დალია ბლომა არაყი და შავ ჭირთან საბრძოლველად მინდორში გაიქცა. სოფლის შემოსავალში მას მართლაც შემოხვდა ბებერი დედა-კაცი.

— „შენ რა გინდა? ჩვენთან მოდიხარ? უთხრა გლეხმა ბებერს.

— მე, შვილო, ონეგის მონასტერში მივდივარ, წაილუღლუღა ბებერმა დედაკაცმა.

— მე შენ გაჩვენებ მონასტერს... და „მამაცმა" გლეხმა ამ სიტყვებთან ერთად „შავ ჭირს" შიგ თავში სდრუზა კეტი. „შავი ჭირი" წაიქცა. ამის დანახვაზე სხვა გლეხებიც წათამამდნენ და მათაც დაუწყეს ცემა. საბედნიეროდ ამ საქმეს წაუსწრო მეზობელ სოფლის ფოსტის სადგურის უფროსმა და საწყალი ბებერი გადაარჩინა. („რუსკ. სლოვო").

✦ **დუბროვინი და ფინლიანდიის სასამართლო.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" ცნობილ წევრებს უთქვამთ, დუბროვინმა სურვილი გამოსთქვა, ფინლიანდიის სასამართლოში გამოვცხადდებიო. ამის წინააღმდეგ წასულა მისი ვექილი ბულაცელი. ბულაცელს უთქვამს, თუ დუბროვინი სასამართლოში გამოცხადდა, მის ვექილობაზე უარს ვიტყვიო. ბულაცელს უთქვამს, ფინლიანდიის სასამართლოს არ შეუძლია რუსებს თავის „საშუალო საუკუნოების კანონები" თავზედ მოახვიოს და ამიტომ დუბროვინს უფლება აქვს არ გამოცხადდეს სასამართლოშიო.

# საბერძნეთი

**აფიცრების მოთხოვნილება.**

დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ საბერძნეთის ჯარის აჯანყება სრულის გამარჯვებით დაგვირგვინდა: რალის სამინისტრო სამსახურიდან გადადგა და მის მაგივრად დაინიშნა მავრომიხალისი, რომელმაც ხელად ამნისტია გამოუცხადა აჯანყებულ აფიცრებს, ამას გარდა, აფიცრებისავე მოთხოვნილებით მთავრობამ სამხედრო სამსახურიდან გადააყენა მეფის შვილები. ამ ჟამად აფიცრები თხოულობენ, რომ დეპუტატთა პალატა უეჭველად შეიკრიბოს მომავალ 14 სექტემბერს, და თან ემუქრებიან იმ დეპუტატებს, რომლებიც არ მოვლენ დანიშნულ ვადაზე. პალატამ მხოლოდ ფლოტისა და ჯარის განახლების საქმე უნდა განიხილოს და ისევ დაიშალოს, რის შემდეგ არჩეულ იქნება ახალი პალატა.

**აფიცრების კავშირი.**

გერმანული გაზეთი „ფრანკფ. ცაიტუნგ"-ი ირწმუნება, რომ ბერძენ აფიცერთა კავშირს დიდი ძალა აქვსო. კავშირმა, ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის მაგალითით, განაცხადა, რომ იგი გამარჯვების შემდეგაც არ დაიშლება და თვალ-ყურს ადევნებს რომ მთავრობამ ზედ მიწევნით შეასრულოს მისი პროგრამმა.

კავშირმა ბევრჯელ დაამტკიცა თავისი ძალა. ასე მაგალითად, კავშირის მოთხოვნით, პირველმა მინისტრმა მავრომიხალისმა 6 აფიცერი, რომლებიც ჯარის აჯანყებას ეწინააღმდეგებოდენ, სამხედრო სამართველოში მისცა. მავრომიხალისი ჯერ ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს უარი ვეღარ უთხრა კავშირს. ის სამხედრო სასამართლო, რომელიც გაარჩევს ხსენებულ აფიცრების საქმეს, შედგენილი იქნება აფიცერთა კავშირის წევრთაგან. მეორეს მხრით, კავშირმა გააუქმებინა საქმე ერთ-ერთ თავის წევრისა, რომელსაც სამართალში მიცემას უპირებდენ.

სამხედრო მოძრაობის მეთაურმა, ეხლანდელმა სამხედრო მინისტრმა ცორბასმა აფიცერთა და ჯარისკაცთა კრების წინაშე სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის გამოუცხადა, რომ საბერძნეთის ჯარი ერის სასარგებლოდ მოქმედებს და რომ აფიცერთა კავშირი აღარ მოითმენს, რომ მთავრობა ასე დაუსჯელად და ცუდად მოქმედებდეს, როგორც აქამდე იყოო. აფიცრებმა აღტაცებით დაიძახეს: „გაუმარჯოს ცორბასს!"

ცორბასმა დასწერა გაზეთებში, რომ თუ ვინიცობაა პარლამენტი წინააღმდეგი გახდება აფიცერთა პროგრამისა, კავშირი ბეჯით ღონისძიებას მიიღებს პარლამენტის წინააღმდეგ, ეგაა ეს ღონისძიება ჯერჯერობით საიდუმლოებას შეადგენსო.

ცორბასს დიდი სახელი და გავლენა აქვს საბერძნეთის ჯარში. სამხედრო აჯანყების შემდეგ, იმ დროს, როცა ამნისტია უკვე გამოცხადებული იყო, მეფის საზაფხულო სასახლეში ტატოიში ხალკისიდან მივიდა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი, რომელიც აჯანყებულ ჯარის საშველად წამოსულიყო. მეფემ თავის ადიუტანტის პირით შეატყობინა ბატალიონს, რომ აჯანყება უკვე გათავდაო და სთხოვა ისევ ხალკისში დაბრუნებულიყო. მაგრამ აფიცრებმა უპასუხეს, რომ ისინი მხოლოდ ცორბასის ბძანებას ემორჩილებიან. მეტი ღონე არ იყო, დაუძახეს პოლკოვნიკ ცორბასს. იგი ავტომობილით მოვიდა, ბრძანება გასცა, და ბატალიონი თავის ბინაზე დაბრუნდა.

# უცხოეთი

**იაპონია-ჩინეთის ახალი ხელშეკრულობა.**

რუსეთის დიპლომატთა წრეები ფიქრობენ, რომ იაპონია-ჩინეთის ახალი სამხედრო ხელშეკრულობა შეცავს ერთს საიდუმლო მუხლს, რომელიც რუსეთის წინამდეგაა მიმართულიო; მაინც მთელი ეს ხელშეკრულობა დიდად საზარელი იქნება რუსეთისთვისო. იაპონია და ჩინეთი, ამას იქით უფრო გაბედულად და მოურიდებლად იმოქმედებენ რუსეთის წინააღმდეგო.

რუსის დიპლომატები ჰფიქრობენ აგრეთვე, რომ იაპონია ისარგებლებს ამ ხელშეკრულობით და მდინარე თუმნის შესართავში სამხედრო ნავთ-სადგურს ააშენებს თავის მებრძოლ ფლოტისთვისო. მდინარე თუმნის შესართავი ვლადივოსტოკს ახლოა, სამხრეთისაკენ.

აიპონიური პრესა დიდის აღტაცებით მიეგება ჩინეთთან დადებულ სამხედრო ხელშეკრულობას.

ევროპიული და ამერიკული პრესა დიდ საერთა-შორისო მნიშვნელობას აწერს „ყვითელ მოდგმის" სახელმწიფოთა თანხმობას.

**პროვინციალური პარლამენტები ჩინეთში.**

მომავალ 14 ნოემბერს ჩინეთში გაიხსნება ოცდა ერთი პროვინციალური პარლამენტი, რომელთა სესია 60 დღემდე გაგრძელდება.

# კრიტის საქმე

რუსულ გაზეთებს ატყობინებენ სტამბოლიდან: სტამბოლში ხმა გავრცელდა, რომ ოსმალეთის მთავრობა მზადაა ხელი აიღოს კუნძულ კრიტეზე, ოღონდ იმ პირობით, რომ მას საბოლოოდ მიეცეს ადგილი სპარსეთის ქურთისტანშიო. (კ.)

# ეგნატე ნინოშვილის

**ძეგლის ასაგებად.**

„ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო ვასო გოგოძის-მიერ შეგროვილი ბაქო—მატარებლის სადგურზე 23 მ. 15 კ.

შემომწირველთა სია: კ. ცერცვაძემ—1 მან., ნ. ჯიდაურმა 1 მ., მ. ხურგულაძემ 1 მ., კ. ბოხუამ 1 მ., რ. მეგრელიშვილმა 1 მ., მ. ჯღარკავამ 1 მ., ნ. დუგლაძემ 1 მ., ა. მახარაშვილმა 1 მ., შ. რამიშვილმა 1 მ., ა. დუმბაძემ 1 მ., ი. მეფარიშვილმა 1 მ., ი. ბოხუამ 50 კ., გ. ოდიშერიამ 50 კ., ო. ქუთათელაძემ 50 კ., ვ. ცირგილაძემ 50 კ., მ. აბესაძემ 50 კ., პ. ჩიკვაიძემ 50 კ., პ. ქოჩქაშვილმა 50 კ., N—50 კ., ი. დურგლიშვილმა 50 კ., ნ. ნაკაშიძემ 50 კ., ა. მეფარიშვილმა 50 კ., მ. კალანდაძემ 50 კ., ი. მაზარაძემ 50 კ., ფ. ხომასურაძემ 50 კ., ვ. კოსტავათ 40 კ., ი. თვალაძემ 30 კ., მ. გოგიამ 30 კ., ი. სალარიძემ 30 კ., ვ. შენგელიამ 30 კ., ა. თავაძემ 30 კ., გ. ტაბლაძემ 30 კ., ი. მაჩიტაძემ 30 კ., ვ. პუბლაშვილმა 30 კ., მ. ვაჩეიშვილმა 30 კ., კ. ვაშაკიძემ 30 კ., ი. ვარძელაშვილმა 30 კ., ნ. ლიპარტიმ 20 კ., გ. მარგველაშვილმა 20 კ., ი. მათიაშვილმა 20 კ., ა. კაკაურიამ 20 კ., მ. ღოჩიშვილმა 20 კ., მ. ყანჩაველმა 20 კ., ლ. ნუცუბიძემ 15 კ. და ა. გოგებაშვილმა 10 კ.

ტიტიკო თალაქვაძის-მიერ სოფ. ნაგომარში შეკრებილი—11 მ. 50 კ.

შემომწირველთა სია: ალექსანდრე კანდელაკი 1 მან., გრიგოლ გუგუნავა 1 მან.; ათ-ათი შაური: გრიგოლ აბალაძე, რაჟდენ ვადაჭკორია, ვასილ თავართქილაძე, ივანე თავართქილაძე, სილოვან თალაკვაძე, დათა გოგიბერიძე, ვალერიან გოგიბერიძე, ტიტიკო ფალაქვაძე; ორ-ორი აბაზი: ილია ბესოს ძე აბალაძე, სიმონ ბოლქვაძე, ბიქტორ მეგრელიძე; ალექსი ნიკოლაშვილი 35 კ., გიტო ნინიძე 30 კ., სიმონ ს. თალაკვაძე 25 კ.; თითო აბაზი: სევასტი ახათიანი, ანტიფა ებგენიძე; მალაქია გოგვაძე, მღ. ლეონტი კეკელიძე, კალენიკე ვადაჭკორია, ირაკლი მენინიძე, [illegible] თომა ლ.მელ,ი ვალოდია ცხიპოვი, არსენ ვადაჭკორია, ივანე სიხარულიძე, მოსე ნიკოლაიშვილი, ლადიმე ჩხაიძე, პეტრე სამსონია, გიორგი ქავთარაძე 15 კ.; ორ-ორი შაური: ვარლამ თალაქვაძე, მელქისე ნიკოლაიშვილი, სარდიონ ახათიანი, გრიგოლ ქოქენტი; გერასიმე ანდღულაძე 5 კაპ.

„ჩვენი აზრის" და „ჩანგის" რედაქციამ ფოთიდან და სამტრედიიდან მიიღო 9 მ. 57 კ. (შემოწირველთა სია დაბეჭდილი იყო №№ 51 და 8).

„ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო კიდევ 7 მან. 95 კაპ. შეგროვილი ოლღა თედეიშვილის მიერ.

შემომწირველთა სია: თითო აბაზი: ილიკო გიორგობიანი, მარუხა ბარამვილი, ნიკა მჭედლიშვილი, ვანო ზანდუკელი, გიორგი ფუხაშვილი, ნინო ოქროვა, ლიზა ელბაქიძე, ანნა კოპაძიძისა, ზოფიო ბუთხუზოვისა; ათ-ათი შაური: კოლა კობაზიძე, ანნა გოგავა, ნატალია პაატაშვილი, გიორგი აღნიაშვილი, ლუკა ბაქრაძე. N, ნიკოლოზ კურპატაშვილი 40 კაპ.; ექვს ექვსი შაური: ბარბარე მაისურაძე, ოლღა ოტმერი, ზაქარია ჩატიშვილი, იონა კობემავიძე. თამარ ვოლკოვა და მაღალაშვილი; თითო აბაზი: გიორგი ჩაცვლიშვილი, იასონი, პუხგინოვი; თითო მაური: არჩილი, ზაპე, შაქრო და დოდო; ბეტრე ზაქარის ძე კოპაძე 15 კაპ.

„ჩანგის" რედაქციისაგან შემოვიდა 89 მან. 64 კ. შემომწირველთა სია დაბეჭდილი იყო შემდეგ ნომრებში: 14, 15, 18, 25, 27, 28 36 და 38.

შესდგა 141 მან. 91 კ. დღემდე იყო 1613 მან. 76 კ, დღეს არის 1755 მან. 57 კაპ.

# წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი:

დიდ მადლობას უხდით იმ პირებს, რომელთაც სოფ. ახალქალაქის სამკითხველოს წიგნები შემოსწირეს. სია შემომწირველთა: ნინო დადვაძისა—ხუთი სხვა-და-სხვა წიგნი, მარუსა კანტინოვი—ექვსი სხვა-დასხვა წიგნი, ი. გრიშაშვილი—ოთხი წიგნი: „ცრემლები"—ვაჟა ფშაველასი, „ავადმყოფი ხალხი"—დრამა ჰაუპტმანისა, „ნიშადურის კრებული".

იმედი გვაქვს, რომ ამათ სხვებიც მიჰბაძავენ და სოფელ ახალქალაქის (გორის მაზრა) ღარიბ ხამკითხველო-წიგნთსაცავისთვის თავიანთ წვლილს არ დაიშურებენ. სამკითხველო ძალიან ღარიბია, ისე ღარიბი, რომ უბრალო მკითხველის დაკმაყოფილებაც არ შეუძლიან. შემოწირულებას წიგნებით და სხვა რამით მიიღება ამ ადრესით: „დროების" რედაქციაში, მ. ხუციშვილს.

**თ. ზ. თარხან-მოურავოვისა.**


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ :**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აველტისიანცი:** 11—12 ნახ.ს. აკნისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1—2 ნახ. საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი :**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—162)

# საოცრად იაფად!

**7 მან. და 25 კაპეიკად ორი**

**საზამთრო ან საშემოდგომო**

საკოსტიუმე ნაჭერი კაცისა და ქალისა; გაგზავნა ფოსტით ფირმის ხარჯით (ციმბირში გამომწერმა უნდა დაუმატოს 85 კაპიკი). ზარალი და შიში შეუძლებელია: ვისაც არ მოეწონება—იმას ფაბრიკა ფულს დაუბრუნებს. ფაბრიკა კაცის კასტიუმისთვის გზავნის $4^1/_4$ არშ. „ინგლისურ ტრიკოს" სულ ახალ სახისას, ძლიერ მკვიდრს, 2 არშინიან სიგანისას, მუქ მატერიას, და 8 არშინს ტრიკოს „მარიამას" ქალის საშემოდგომო ან საზამთრო მკვიდრ და კოხტა კასტიუმისთვის. ფას-დადებით გამოწერის დროს უნდა გადახდილ იქნას 16 კაპ. ზიიაფის მიუხედავად ფაბრიკას მრავალი მადლობა მოსდის საქონლის სიმკვიდრისა და სიკარგისთვის. ადრესი: М. А. Бабушкина, Лодзь. N 52, წერილი უნდა დაიწეროს რუსულად ან გერმანულად.
(Метцель и Ко N 48251. (3—6.—2)

# იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები**, თითო ნაჭერი 800 საჟენი და მეტი, სოფელ თელოვკანში (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოლოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მალალაშვილს.**
(50—6.—26)

# !უფრო იაფად შეუძლებელია!

**2 მანეთად და 75 კაპეიკად**

ვუგზავნი მსურველს შევიოტის ნაჭერს „ტრიუმფს" $4^1/_2$ არშინს შამაკაცის მთელი კასკტიუმისთვის. სიიაფის მიუხედავად, მატერია „ტრიუმფი" მატყლისაა (და არა ბამბისა) და საუკეთესო მატერიის თვისებებს შეიცავს; მკვიდრია, კარგი სახმარი და კოხტა. ფერები: შავი, ლურჯი, მიხაკის ფერი, მუქი. გაგზავნა 55 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს გამოიწერს, გაგზავნა ჩემი ხარჯით. ადრესი: Фабриканту Зигмунду Розенталь, г. Лодзь. N 178. წერილი რუსულად უნდა დაიწეროს.
(Метцль и Ко N 47952) (3—6—3)


# მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) სააგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საავარაკო N 77 ა, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საავარაკო N 76 ა, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საავარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

***

არ პოეტის ღვთაებრივ ფანტაზიის მსოფლიოში? ასე არ მოიქცა ჩვენი რუსთველიც: აბა მითხარით, სად გინახავთ მიჯნური ტარიელისთანა, მეგობარი ავთანდილისთანა, რომელიც ყოველსავე პირადს კმაყოფილებასა და სიამოვნებას ანაცვალებს მეგობრის სურვილებსა და მისწრაფებას, თუ არ იმ საოცნებო ქვეყანაში, რომელიც ქართველთა სასახელოდ და სადიდებლად შექმნა რუსთველმა? მაგრამ კმარა... საკმაოა, მგონი, მაგალითი დავრწმუნდეთ, რომ რამდენად დიდებული და უჩვეულო ქვეყანა შეჰქმნა ყაზბეგმა, მით უფრო დიდი საბუთი მოგვცა მისის ნიჭისა.—ბოლო მისის ნაწარმების წარმტაცი და მომხიბვლელი ზედ-გავლენა ჩვენში არ წარიხოცება მანამდის, სანამ ქართველის ერის გონების სალაროში საუკეთესო განძად მიჩნეული იქნება რუსთველის უკვდავი პოემა, ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის ლირიული პოეზია, ილია ჭავჭავაძის პროზა და პოემა „განდეგილი". *)

—

აქ სიამოვნებით დაუსვამდით წერტილს ამ წერილს, თუ შეგვეძლოს უყურადღებოდ დავტოვოთ ყაზბეგის სტილი. არა მგონია, იყოს ჩვენში მეორე მწერალი, რომელსაც უარესის ენით დაეწეროს თავისი თხუზულებანი, ვიდრე ყაზბეგს. შეუწყნარებელი მართლ-წერა, შეუწყნარებელი ფორმა ფრაზებისა! საკმარისია გადაათვალიეროთ ჩვენ-მიერ ვრცლად ამოწერილი ნაწყვეტები, რომ თვალებს არ დაუჯეროთ, ნუ თუ შესაძლებელია ასეთმა დიდმა ნიჭმა ასეთის ენით სწეროსო. და მით უფრო გაკვირვებული ხარ, რომ კითხულობ მის ნაწარმოებს და ვერ შორდები მის მომხიბვლელობას მისი პოეტური ნიჭი, მისი მხატვრული კილო ყოველს ანბანშია დამალული და გადმოჩქეფს ყოველ სტრიქონიდან, ვით უკვდავების წყარო. თქვენ ამ კითხვის დროს ენა კი არა, ქვეყნიერებაც გავიწყდებათ. ეს საოცარი მოვლენაა ლიტერატურაში და მეტად საინტერესო ასახსნელი. გამოდის, რომ ნიჭი ყოველიფერს მიგალებინებს—თვით უცნაურს ენას, თვით ჟარგონს მოუთმენელს და შეუწყნარებელს. ან რა ენა, რის ენა, რის სტილი, რის კილო, რისი ფორმა, როცა წაიკითხავ ასეთს ნაწყვეტს:

„**ღამის წყვდიადისთვის განთიადის ნისკარტს ეკრა და ფერი ეცვლევინებინა.** წყნარი, დამშვიდებული სიო, წინამორბედი განთიადისა, წყნარად არხევდა და აღვიძებდა მინდვრის კეკლუცთ, ტკბილად ჩასჩურჩულებდა და ამზადებდა დღის დამამშვენებლის დასახვედრად. ცა მტრედის ფრად მოქცეულიყო და მიდამოს ნაზის შუქით გადმოჰფენოდა. ფრინველნი, ჯერ კიდევ ძილით მოცულნი, დღის მოლოდინით ჰკრთებოდნენ, სიონაგრძნობნი შეაჩქოლებდნენ, იბრტყებოდნენ და დრო გამოშვებით სტვენით შეჰყეფდნენ შემოქმედს"

ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, რა სიმაღლემდის მიაღწევდა ყაზბეგის ნაწარმოები, თუ მისი სტილი შეეფერებოდეს იმ წარმტაც შინაარსს, რომლის უღირსი გამომსახველიც ის არის. გასაოცარი მსგავსებაა ყაზბეგის სტილსა და მის შინაარსსა ერთის მხრით და მეორეს მხრით მის უცნაურს ნიჭსა და მის ცხოვრებას შორის. ჩვენ, საზოგადოდ, ჩვენს ნაწერებში მწერლის ბიოგრაფიას გაურბით. ჩვენა გვგონია, რომ მწერლის ჩვეულებრივ ცხოვრებას თითქმის საერთო არა აქვს რა მის სულიერ, მის პოეტურ განწყობილებასა და ცხოვრებასთან. გადაიკითხეთ ყაზბეგის ბიოგრაფია, ბ-ნ კარიჭაშვილის*) მიერ შედგენილი, და დამერწმუნებით, რომ ესეთივე თვისება და კავშირია ყაზბეგის ცხოვრებასა და მის პოეზიასა, მის ნაწარმოების შორის, როგორც მის სტილსა და მისის შემოქმედობის შინაარსს შორის. და ისე, როგორც მისი ენა, ჩვენ ვერ გვაშორის დავსტკბეთ მისის ნაწარმოების მშვენიერებით, ვერც მისი გარეგანი ცხოვრება, ვერც ზედაპირი მისი ცხოვრებისა ვერაფერს დაგვიშლის აღტაცებით მუხლი მოვიდრიკოთ ამ დიდებულის მომხიბვლელის და წარმტაცის შემოქმედის წინაშე. რა ხელი გვაქვს ჩვენ ბ-ნ კარიჭაშვილის ყაზბეგთან*), ჩვენ ვიცნობთ ყაზბეგს ჩვენ ლიტერატურაში ახალის მიმართულების დამამკვიდრებელს; ჩვენ მიგვაჩნია და თაყვანსა ვცემთ უცნაურ შემოქმედს „ელისოს", „მოძღვარის", „მამის-მკვლელისა" და „ციციასა"*).

**კიტა აბაშიძე.**

*) რასაკვირველია, ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ არსებითი მხარე ყაზბეგის ნაწარმოებისა, და ვერ შევეხეთ იმ მრავალ-ფეროვნებას, რომლითაც აღსავსეა ეს მომჯადოვებელი შემოქმედება: არ შევეხეთ, მაგ., თუ რა ნათლად აქვს გამოსახული ავტორს მუსიკის გავლენა მოხევეზე, არ შევეხეთ, რა-გვარად ცოცხლადა აქვს ყაზბეგს გამოხატული უცნაური ხიმაზვილე მოხევეს გრძნობებში, იმ შეჭვე გრძნობებისა, რომელსაც წინად გრძნობას ეძახიან (იხილე «ციკო», „მოძღვარი" და სხ.). ჩვენ შევეხეთ მხოლოდ იმ მწვერვალებს ამ პოეზიისა, რომელიც საკსებით გვისურათებენ მას, რომელიც საკმაოთ და თვალ-საჩინოდ შეგვაგნებინებენ, რომ ამ მწვერვალებზედ ახვლა შეუძლია მარტო არა-ჩვეულებრივის სულთქმის პატრონს, ღვთაებრივის გულისთქმით გაჟღენთილ ბრწყინვალე ნიჭს.

*) ახალი გამოცემა ქარ. ამხ.

*) რასაკვირველია, აქ ბ-ნი კარიჭაშვილი არაფერ შუაშია, მან შეასრულა მოვალეობა სინიდისიერის ბიოგრაფისა.

*) ჩვენ აქ არ ვეხებით ყაზბეგის სხვა ნაწარმოებს («ნამწყემსარის მოგონება»), «ნინო», „პერდია", „ელბერდ", «ელეონარა", «განკიცხული» და სხვა), რადგან მისის ნიჭის თვისებათა დასახასიათებლად სრულიად საკმარისია ის, რაც ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ და ახალს ჩვენ ვერას ვნახავდით ვერც მის წვრილ მოთხრობებში, ვერც მის რომანში, რომლის შინაარსიც ტფილისის თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებიდანაა აღებული.


ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი

# საკომერციო ცოდნათა კურსები

**ტ. მ. ფილოიანისა.**

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/4.

ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ემლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუჰჰალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას; 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს საჩოტებზე; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.

**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**

**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის.

პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ემლევა ყველას კურსების ბინაზე.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.**
(20—ხალ.—8)